

გერმანიას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი ხელმძღვანელი პიორსტ კელერი კვირას ომისშემდგომი გერმანიის მე-9 პრეზიდენტად აირჩიეს. პიორსტ კელერს, რომელმაც სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის თანამდებობა მარტის თვეში დატოვა, ასამბლეის 1204 წევრიდან ხმა 604 დეპუტატმა მისცა.

გერმანიაში პრეზიდენტს არა პირდაპირ ამომრჩეველები, არამედ სპეციალური ფედერალური ასამბლეა ირჩევს - ორგანო, რომელიც ყოველ ხუთ წელსნადავს მხოლოდ ამ მიზნით იკრიბება. პრეზიდენტი, რომელსაც მარტოოდენ წარმომადგენლობითი უფლებები გააჩნია და ქვეყნის მართვაში თითქმის არანაირ მონაწილეობას არ იღებს, ირჩევა ბუნდესტაგის დეპუტატებისა და 16 მიწის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ.

წელს, კელერის გარდა, პრეზიდენტის თანამდებობაზე კენჭს იყრიდა კანცლერ შროდერის კანდიდატი გეზინ შვანი, უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც, არჩევის შემთხვევაში, გერმანიის ისტორიაში ამ პოსტზე პირველი მდებ-

რობითი სტეის წარმომადგენელი იქნებოდა. დამკვირვებლებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ასამბლეა უპირატესობას 61 წლის კელერს მიანიჭებდა და ამის მთელი რიგი მიზეზებიც ჰქონდათ: პირველ რიგში, ის, რომ კელერი წამოყენებული იყო ოპოზიციური პარტიების გაერთიანების მიერ, რომელსაც უფრო მეტი წარმომადგენელი ჰყავს ფედერალურ ასამბლეაში. მართალია, გერმანიაში კელერი თითქმის უცნობი ფიგურაა, მაგრამ აქ მთავარი შროდერის სანინალმდეგო კანდიდატის არჩევა უფრო იყო. ოპოზიციას მიაჩნია, რომ პრეზიდენტად კელერის არჩევა სოციალ-დემოკრატებისა და "მწვანეების" მთავრობის შეცვლისაკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება, თუმცა თავად კელერი პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას შეეცდება. იგი შროდერის ეკონომიკური რეფორმების მომხრეა და აცხადებდა, რომ არჩევის შემთხვევაში, ამ კურსის გაგრძელებას შეუწყობს ხელს.

ალსანიშნავია, რომ წინა პრეზიდენტი - სოციალ-დემოკრატი იოჰანეს რაუ ამ პოსტზე ხუთი წე-



ახალი პრეზიდენტი მილოცებს ლებულბს

საუდის არაბეთი ნავთობის მოპოვებას ზრდის

პირველი გავრცელება

ერ-რიადი ნავთობის მოპოვებას დღე-ღამეში 800 ათასი ბარელით გაზრდის, რითაც საუდის არაბეთის მიერ ამოღებული ნავთობი დღე-ღამეში 9,1 მილიონ ბარელს მიაღწევს. ერ-რიადის განცხადებამ უკვე გამოიღო პირველი შედეგი და ნავთობის ფასმა ნიუ-იორკის ბირჟაზე 1 პროცენტით დაიწია და ბარელზე 40 ამერიკულ დოლარს ქვევით ჩამოვიდა.

საუდის არაბეთის განცხადებამდე რამდენიმე საათით ადრე, დასავლეთის მონიწივე ქვეყნებმა გაავრცელეს მიმართვა ოპეკის წევრი სახელმწიფოებისადმი. დასავლეთი ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოთა ასოციაციის ნავთობმოპოვების მოცულობის გაზრდას სთხოვდა.

თუმცა, ოპეკის წევრებიდან ამ თხოვნას მხოლოდ ერ-რიადი გამოეხმაურა. ჯერ კიდევ გასულ კვირას ოპეკის ქვეყნებმა ცალსახად განაცხადეს, რომ ნავთობის წარმოე-

ბაზე დაწესებული კვოტების გაზრდას, სულ ცოტა, ივნისის დასაწყისამდე არ გეგმავენ. საუდის არაბეთი ერთადერთი ქვეყანა აღმოჩნდა, რომელმაც დასავლეთის თხოვნა ადეკვატურად შეაფასა და წარმოების გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება ცალმხრივად მიიღო. ამჟამად კი, დასავლეთის მთავრობების სიხარულის პარალელურად, ოპეკის წევრი ქვეყნების უკმაყოფილება გამოიწვია.

"მათ ეს არ შეუძლიათ. ეს შეცდომაა. საუდის არაბეთს უფლება არ აქვს, ასეთი გადაწყვეტილება ცალმხრივად მიიღოს," - ვერ დაფარა შემოთქმება ლიბიის ნავთობის მინისტრმა. თუმცა, როგორც ჩანს, ერ-რიადი გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს. მართალია, 800 ათასი ბარელით წარმოების მოცულობის გაზრდა მსოფლიო ბაზარზე არცთუ ისე მნიშვნელოვანდ იმოქმედებს, მაგრამ საუდის არაბეთის მთავრობა აცხადებს, რომ არ გამოირიცხავს მოცულობის წარმოების გაზრდას 10,5 მილიონ



ბარელამდე დღე-ღამეში, ვიდრე ოპეკის ქვეყნებს შორის წარმოების კვოტები საბოლოოდ გადაწყდება.

დიდი შვიდეულის ფინანსთა მინისტრები მოუთმენლად ელოდნენ საუდის არაბეთის ნავთობის მრეწ-

ველობის მინისტრის ალი ალ-ნაიმის და აშშ-ს ენერგეტიკის მინისტრის სპენსერ აბრაჰამის შეხვედრის

დასრულებას ამსტერდამში. ერ-რიადის გადაწყვეტილება სწორედ ამ შეხვედრის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი, რასაც შვიდეულის ფინანსთა მინისტრის აღფრთოვანება მოჰყვა.

დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა გორდონ ბრაუნმა აღნიშნა, რომ საუდის არაბეთმა მსოფლიო მნიშვნელობის გადაწყვეტილება მიიღო. "ეს ოპეკის ქვეყნებზე დამატებით ზეწოლას მოახდენს და მათ სწორედ მოქმედება აიძულებს," - განაცხადა ბრაუნმა.

ალსანიშნავია, რომ მსოფლიოში ნავთობზე მოთხოვნა დღითიდღე მატულობს. ამის მიზეზს კი აშშ-ს ეკონომიკური ღონის ამაღლება და ჩინეთის მზარდი წიწვლა იწვევს. ამდენად, "შავ ოქროზე" ფასების მომატებაზე არა მარტო დასავლეთის და აზიის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ინტერესები, არამედ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული.

ფხენიანი ლიბიას ურანს აწვდიდა

გუშინ შეერთებული შტატების მაღალჩინოსნებმა განაცხადეს, რომ საერთაშორისო ინსპექტორებმა ფაქტები აღმოაჩინეს, რომლის თანახმად, ჩრდილოეთ კორეა ლიბიას ბირთვული იარაღის დასამზადებლად აუცილებელ მასალებს აწვდიდა. თუმცა, მათ იქვე დასძინეს, რომ დასკვნა საბოლოო არ არის და გამოიძევა კვლავ მიმდინარეობს.

ექსპერტების აზრით, თუ ეს ბრალდება დადასტურდეს, მაშინ უკვე დიდილი გამოსაცნობი იქნება, ვინ აწვდიდა ბირთვულ მასალებს

ირანს და ბირთვული იარაღის შექმნით დაინტერესებულ სხვა სახელმწიფოებს.

ინსპექტორები, რომლებიც ლიბიის მიერ შეწყვეტილ ბირთვულ პროგრამას სწავლობენ, არ გამოირიცხავენ, რომ ლიბიის ლიდერს მოამარ კადაფის, შესაძლოა, პაკისტანიც დაეხმარა. სამხრეთ აზიის ეს სახელმწიფო ბირთვული მასალების მავ ბაზარზე აქტიურობაში უკვე შემჩნეულია. ალსანიშნავია, რომ პაკისტანის ბირთვული პროგრამების "მამ" აბდულ ყადერ ხანმა ამ წლის

დასაწყისში აღიარა, რომ მან რამდენიმე ქვეყანას საიდუმლო ინფორმაცია მიჰყიდა, მათ შორის - ლიბიას, ჩრდილოეთ კორეასა და ირანს.

ამ თვის დასაწყისში ლიბიის მთავრობამ განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეასთან სამხედრო სფეროში ვაჭრობას შეწყვეტს. ჩრდილოეთ კორეასა და ლიბიას შორის ბირთვულ სფეროში თანამშრომლობის შესახებ პირველი ცნობები კვირას "ნიუ-იორკ თაიმსში" გაჩნდა. ამ სტატიის თანახმად, 2001 წლის დასაწყისში ფხენიანმა ლიბიას, დაახლოებით,

ორი ტონა ურანი გაუგზავნა.

თეთრი სახლი ამის შესახებ ინფორმირებული იყო, მაგრამ ამ ფაქტს ვერ ადასტურებდა, - აღნიშნა თეთრი სახლის წარმომადგენელმა ტრენტ დაფიმ. "სწორედ ამიტომ არის ძალზე მნიშვნელოვანი ჩვენი პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც ჩრდილოეთ კორეის სრულ განიარაღებას გულისხმობს," - დასძინა დაფიმ. მისი თქმით, აუცილებელია საერთაშორისო თანამეგობრობის საერთო ძალისხმევა, რათა მასობრივი განადგურების იარაღით უკანონო

ვაჭრობა აღიკვეთოს.

იანვარში ლიბიის ლიდერმა მოამარ კადაფიმ შეერთებულ შტატებს ის აღჭურვილობა გადასცა, რომელსაც მისი ქვეყანა მასობრივი გადამგურების იარაღის შესაქმნელად იყენებდა.

მას შემდეგ ექსპერტები ცდილობენ გაარკვიონ ლიბიის ბირთვული მასალების წარმომავლობა. დასავლეთში მიიჩნევენ, რომ ფხენიანს რამდენიმე ბირთვული ბომბის დასამზადებლად საჭირო გამდიდრებული ურანი გააჩნია.

იაპონია, სამხრეთ კორეა, შეერთებული შტატები, რუსეთი და ჩინეთი ჩართულები არიან ექსპერტულ მოლაპარაკებებში, რათა ფხენიანი ბირთვული პროგრამების შეწყვეტაზე დათანხმდნენ.

თავის მხრივ, ჩრდილოეთ კორეა აცხადებს, რომ ის თავის პროგრამებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეაჩერებს, თუ ამერიკა ეკონომიკურ სანქციებს მოუხსნის, ნავთობით დაეხმარება და ქვეყანას საერთაშორისო ტერორიზმის დამფინანსებელი ქვეყნების სიიდან ამოიღებს.





ერთად ავაშენოთ სკოლა

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის ცნობილია, თავისუფლების ინსტიტუტი ორგანიზაცია **ALPE**-სთან ერთად ატარებს პროექტს, რომელიც სკოლების მართვაში მშობელთა და მასწავლებელთა აქტიურ ჩართვას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში, თავისუფლების ინსტიტუტის დაკვეთით, **BCG** ჯგუფი მშობლებისა და მასწავლებლების მონაწილეობით, ფიკუს ჯგუფებს ატარებს. მართალია, კვლევის შედეგები ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ უკვე ნათელია, რომ ერთ-ერთ ყველაზე ცხად პრობლემას ინფორმაციის სიმწირე წარმოადგენს. ჩვენ გამოვყავით ის რამდენიმე შეკითხვა, რომელიც ყველაზე ხშირად მეორდება და აღვსატყობთ გადაუჭრავნეთ. გთავაზობთ მიღებულ პასუხებს.

- რას ნიშნავს ოპტიმიზაცია, ფიზიკური იქნება ეს, საკადრო, თუ ფინანსური. მოვლით თუ არა სკოლებს გაერთიანებას და რას ნიშნავს ეს. შემცირდება, თუ არა მასწავლებლების რაოდენობა; როგორ განისაზღვრება საპენსიო ასაკი და როგორი იქნება მასწავლებელთა დაფინანსება?

პასუხობს განათლების პოლიტიკის ქვეკომპონენტის ხელმძღვანელი დათო გონაშვილი: ოპტიმიზაცია, სიტყვის შინაარსიდან გამომდინარე, რაიმე ცვლადი სიდიდის მის საუკეთესო მნიშვნელობამდე მიყვანას ნიშნავს. ოპტიმიზაციის ჩვენებული გეგმები საკადრო, ფიზიკური, თუ ფინანსური რესურსების ოპტიმალურად გამოყენებას გულისხმობს. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ მასწავლებლების შემცირებას ვაპირებთ. მათი შემცირება ჩვენი მიზანი არ არის. რაც შეეხება ფიზიკური რესურსების ოპტიმიზაციას, სკოლების გაერთიანებას ვერ ავცდებით. თბილისი, თითქმის, დიდი ქალაქია და აქ ბევრი გადატვირთული კლასიც გააქვს, მაგრამ აქაც არსებობს ისეთი სკოლები, რომლებიც საპროექტო სიდიდემდე დატვირთული არ არის. კიდევ უფრო უარესი სიტუაციაა რაიონებსა და სოფლებში. კომუნისტების დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ სკოლას ააშენებდა. არსებობენ სოფლები, სადაც სამი, ოთხი, ზოგჯერ ხუთი შენობაც კი არის, არადა კონტინგენტი ერთისთვისაც არ არის საკმარისი. ცხადია, ჩვენ ამ სკოლების კონსოლიდაციას მოვახდენთ, მაგრამ ამას მასწავლებლების შემცირება არ მოჰყვება. მასწავლებლები მოსწავლეებს ახალ სკოლაში გადაყვებიან. რაც შეეხება ფინანსურ ოპტიმიზაციას, ჩვენ, პირველ რიგში, გვინდა, რომ დაფინანსების სქემა ძალიან მაღლ შეცვალოთ. აქამდე თანხის გადარიცხვა რაიონულ ცენტრებზე ხდებოდა და შემდეგ სკოლებს ფულს ისინი უნაწილებდნენ. ახალი წესის თანახმად, თანხა პირდაპირ სკოლის ანგარიშზე გადაირიცხება. გარდა ამისა, 2005 წლის ბოლოსთვის მზად გვექნება ფინანსური ფორმულა, რომლის მიხედვითაც, სკოლების დაფინანსება მოხდება ერთ სულ მოსწავლეზე გათვლით. საპენსიო ასაკს რაც შეეხება, ამ ეტაპზე კანონი პედაგოგებს არ ავალდებულებს, საპენსიო ასაკის მონღვეისთანავე პენსიაზე გავიდნენ. განათლების სისტემა იმ კანონს დაექვემდებარება, რომელიც ქვეყანაში იმუშავებს.



- განათლების მინისტრმა მკაფიოდ და ნათლად გაგვაგებინოს, რას გულისხმობდა ჰაგიოგრაფიასთან დაკავშირებით - საერთოდ იღებენ პროგრამიდან, თუ ნაწილობრივ; თუ ტოვებენ, მთლიანად აპირებენ მის აღაპტირებას, თუ ნაწილობრივ?

პასუხობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კახა ლომია: რა თქმა უნდა, ჰაგიოგრაფიის პროგრამიდან ამოღებას არავინ აპირებს. ამაზე არც არასდროს ყოფილა ლაპარაკი. უბრალოდ, ითქვა, რომ უცხოელეებლია, შეიცვალოს სწავლების მეთოდიკა, როგორ - ამაზე ჯერ აღვჩა საუბარი. უნდა შეიქმნას ჯგუფი პედაგოგების, ლიტერატორების, მათმეცნიერების, ფსიქოლოგების და სოციოლოგების მონაწილეობით. მათ უნდა დაადგინონ, რის სწავლება როგორ აჯობებს. ეს დასკვნები საჯაროდ გამოქვეყნდება, კიდევ ერთხელ გაიმართება დისკუსია ამ საკითხებზე და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას.

- რატომ გაუქმდა მეცხერე კლასის გამოცდები?

პასუხობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კახა ლომია: მეცხერე კლასის გამოცდები იმიტომ გაუქმდა, რომ ამ გამოცდებს არანაირი დატვირთვა არ ჰქონდა. არსებობს სემესტრული და მიმდინარე შეფასებები და, იმის მაგივრად, რომ მოსწავლეებს სემესტრის მანძილზე ემეცადინათ და სასწავლო პროცესი მთელი წლის განმავლობაში თანაბრად ყოფილიყო გადანაწილებული, აქცენტი მხოლოდ წლის ბოლო გამოცდის მომზადებაზე იყო აღებული. გარდა ამისა, ძალიან ბევრ სკოლაში ეს გამოცდები კორუფციის წყაროდ გადაქცა. გვაქვს ინფორმაცია, რომ ტესტებს ხშირად თავად მასწავლებლები ავსებდნენ. ეს აღარ მოხდება. მოსწავლეს წლის ბოლოს ყველა საგანში ჯამური ნიშანი უნდა ეწერებოდეს. კეთილი ინებოზ მასწავლებელმაც და შეგარდებმაც და მთელი წლის განმავლობაში იმუშაონ ისე, რომ მოსწავლეს ნორმალური ნიშანი გამოჰყვეს.

- როგორ გადაწყდება 40-ბავშვიანი კლასების საკითხი? პასუხობს სასკოლო განათლების რეფორმის პროექტის დირექტორი გიგი თევზაძე: დღევანდელი ნორმატივებით, თუ 25 ბავშვი არ არის, კლასი არ გაიხსნება - ე.ი. თუ, მაგალითად, რომელიმე სკოლაში პირველ კლასში 50 ბავშვი მივიდა, იქ ორ ოცდახუთბავშვიან კლასს გახსნიან, მაგრამ თუ, მაგალითად, მხოლოდ ორმოცი ბავშვი მივიდა, იქ იძულებულები არიან, ორმოცივე ერთ კლასში დასვან. ამ პრობლემის მოგვარება დაფინანსების სისტემით შეიცვლება. დაფინანსება გათვლილი უნდა იყოს ერთ სულ მოსწავლეზე და არა კლას-კაბინეტებზე. ამ შემთხვევაში კლასის მიწოდებაში კი აღარ განისაზღვრება, არამედ მაქსიმუმი. მაქსიმუმის განსაზღვრა კი საერთაშორისო სტანდარტს დაეყრდნობა. ითვლება, რომ დაწყებით კლასებში არ უნდა იყოს 18 ბავშვზე მეტი, საბაზისოში - ოცდახუთზე მეტი.

- გაგრძელდება თუ არა კლასების ჰუმანიტარულად და ტექნიკურად დაყოფის ტენდენცია?

პასუხობს სასკოლო განათლების რეფორმის პროექტის დირექტორი გიგი თევზაძე: ჩვენ გვგეგმავთ, საშუალო საფეხურის (მე-10-12 კლასები) მოსწავლეს უფრო მეტი თავისუფლება მიეცეთ მათთვის საჭირო საგნების არჩევისას, ვიდრე დღეს აქვთ. ყველამ იცის, რომ დღეს ბევრ სკოლაში საშუალო საფეხური ფორმალურადაა და საგანმანათლებლო დანიშნულება საერთოდ არ აქვს. მონაფეხებს მიეცემათ საშუალება, აირჩიონ საგნები; იარსებებს სავალდებულო საგანთა გარკვეული ბლოკი, დანარჩენი კი არჩევითი იქნება.



- როგორი იქნება მისაღები გამოცდების სისტემა გაისად? პასუხობს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი: 2005 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები ჩანაცვლდება საერთო სახელმწიფო გამოცდებით, რომლებიც წინასწარ მერჩულ რეგიონულ ცენტრებში ჩატარდება. აბიტურიენტი თავად ირჩევს იმ რეგიონულ ცენტრს, რომელიც მისთვის ყველაზე მოსახერხებელია (მაგ. ზუგდიდის აბიტურიენტი, სავარაუდოდ, აირჩევს რეგიონულ ცენტრს ბათუმში). შედეგების შემდეგ აბიტურიენტი ირჩევს სასურველ ფაკულტეტს (ან ფაკულტეტებს) და უმაღლეს სასწავლებელს (ან სასწავლებლებს). შედეგების საფუძველზე, მოხდება აბიტურიენტთა რანჟირება და, შესაბამისად, მათი ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ნაწილების გასწორება მოხდება ცენტრალიზებული, შეფასების ცენტრის ოფისში. ახალი ტიპის გამოცდების მნიშვნელოვანი სიახლე იქნება საგნობრივ ტესტებთან ერთად (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხო ენა) ზოგადი უნარების შესაფასებელი ტესტები, რაც სავალდებულო იქნება ყველა აბიტურიენტისთვის.

- სკოლის პროგრამა და მისაღები გამოცდების პროგრამა ერთმანეთთან შესაბამისობაში არ მოდის. მათემატიკის უმაღლესი გამოცდების პროგრამაში, მაგალითად, არის პარამეტრული განტოლება, სკოლის პროგრამაში იგი არ ისწავლება; წარმოებული კი, პირიქით - სკოლაში ისწავლება და საგამოცდო პროგრამიდან ამოღებულია.

პასუხობს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი: რაც შეეხება სასკოლო და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები პროგრამების შესაბამისობას, ეს საკითხი ჩვენთვის კარგად არის ცნობილი. მოსამზადებელი სამუშაოების პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია ე.წ. საგამოცდო პროგრამების შემუშავება. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს სასკოლო პროგრამებისა და საუნივერსიტეტო მოთხოვნების შეჯერებას. ამისათვის დაგეგმილია შეხვედრები ყველა დაინტერესებულ აკადემიურ ინსტიტუტთან, ასევე - შეიქმნება ე.წ. საკონსულტაციო საბჭო. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს საგამოცდო პროგრამა საბოლოო სახეს და შემოდგომაზე გამოქვეყნდება.



- როდის გაირკვევა სახელმძღვანელოების საკითხი? პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმების მომზადების და დანერგვის ქვეკომპონენტის უფროსი სიმონ ჯანაშია: არ ვიცი, რას ეძიებით სახელმძღვანელოების საკითხის გარკვევას და ამიტომ გამიჭირდება ამ კითხვაზე პასუხი. მაგრამ, შემოიღია ვთქვა, რომ 2005-06 წლებში, როდესაც საქართველოს გარკვეულ სკოლებში ჩატარდება ახალი სასწავლო გეგმების გამოცდა პირველ, მეშვიდე და მეთექვსმეტე კლასებში, იმავდროულად, დაიწყება ახალი სახელმძღვანელოების წერა. 2006 წლის სექტემბერში ახალი სასწავლო გეგმა 1-ელ, მე-7, მე-10 კლასებში დაინერგება, შეძლებისდაგვარად, ახალი სახელმძღვანელოების თანხლებით. ეს მხოლოდ სამინისტროზე არ არის დამოკიდებული და გამომცემლობების ძალეხისა და ინტელექტუალური პოტენციალის დაძაბვასაც ითვალისწინებს. ამიტომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული განათლების რეფორმის პროექტი დაეხმარება გამომცემლობებს რედაქტორებისა და ავტორების მომზადებაში.

- რამდენად სწორად მიგანჩნია ნათარგმნი სახელმძღვანელოების არსებობა?

პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმების მომზადების და დანერგვის ქვეკომპონენტის უფროსი სიმონ ჯანაშია: ერთი მხრივ, სახელმძღვანელოები უნდა ასახავდნენ იმ რეალობას, რომელიც მოსწავლე იზრდება. ეს მას უადვილებს წიგნში აღწერილი პრობლემის გააზრებას. მეორე მხრივ, სახელმძღვანელოების დანერგა საკმაოდ სერიოზული საქმეა და სერიოზული სახელმძღვანელოების სერიების შექმნას მრავალი წელი სჭირდება. ისეთი სახელმძღვანელოები, როგორც ჩვენთან საბჭოთა თუ პოსტ-საბჭოთა სივრცეში იწერებოდა, ნებისმიერ სტუდენტს შეეძლო დაენერგა; ანუ, ვთქვათ, თუ გადავხედავთ ისტორიაში, ძირითადად, როგორი სახელმძღვანელოებიც იქმნებოდა ამ ბოლო წლებში, მაშინ გამოვა, რომ სახელმძღვანელოები დანერგა გულსხმობდა იმას, რომ ვინც ქართული იცის, შეუძლია სხვადასხვა წიგნში გადმოცემული ფაქტობრივი მასალის შეკრება და გაკვეთილებად დანაწილება. ამის გაკეთება, თეორიულად, ნებისმიერ ქართველს მცოდნე ქართველს უნდა შეეძლოს. სახელმძღვანელო, პირველ რიგში, არის მეთოდოლოგია და მხოლოდ უკვე შემდეგ მინარსი. ჩვენთან ასე წერის გამოცდილება საკმაოდ მწირია. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ამ გამოცდილების შექმნამდე ზოგიერთ საგანში სახელმძღვანელოს თარგმნა სასარგებლოც კი იქნებოდა. მაგალითად, მათემატიკა ჩემთვის მათემატიკა და არ არსებობს ქართული და ფრანგული მათემატიკა. ამიტომ, მაგალითად, მათემატიკის სახელმძღვანელოს თარგმნის წინააღმდეგი არ ვარ. მაგრამ, არსებობს სახელმძღვანელოები, რომლებსაც თარგმნა მოსწავლისათვის უფრო გაუგებარს გახდია გარკვეულ ინფორმაციას. მაგალითად, თუ ბუნების წიგნი არ ასახავს ქართველი მოსწავლის გარემოს და, ვთქვათ, ძირითადად, პრერიებისა და ბიზონების შესახებაა, მაშინ ასეთი წიგნის თარგმნა კარგს არავფერს მოიტანდა. მაგრამ, თუ ისეთი წიგნი არ დაინერგა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს გონება ავარჯიშოს, ჯობს, სხვა ენიდან ითარგმნოს. ბოლო დროს თარგმნილმა მრავალმა საბავშვო ენციკლოპედიამ დაგვანახა, თუ რამხელა წინსვლა შეიძლება იყოს საბავშვო ლიტერატურაში მინიმალური ძალის დაძაბვით.

- ალტერნატიული სახელმძღვანელოები ხშირად სხვადასხვაგვარი სირთულეთა შედეგინი და მათში სხვადასხვაგვარი მეცნიერული ხაზია დაცული.

პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმების მომზადების და დანერგვის ქვეკომპონენტის უფროსი სიმონ ჯანაშია: რაც შეეხება იმას, რომ სხვადასხვა სახელმძღვანელოში სხვადასხვა მეცნიერული ხაზია დაცული, ამაში მე პრობლემას ვერ ვხედავ. მეცნიერებებში ძალიან ხშირად არ არსებობს ერთი სიმართლე. ვერ ვხედავ პრობლემას იმაში, რომ ზოგმა, ვთქვათ, ისტორია ცივილიზაციური მახასიათებლების განვითარების ეტაპების განხილვის საფუძველზე ასწავლოს, ზოგმა - უბრალოდ, ქრონოლოგიურად ძველიდან ახლისკენ; ზოგს, თუ უნდა, შეუძლია თანამედროვედან წარსულისკენ - დიდი იმპერიების მაგალითზე ან პატარა ტომების შემსწავლელი ანთროპოლოგების დასკვნების მიხედვით - ისტორია მაინც ისტორია იქნება და სარგებელიც მოსწავლისათვის შეიძლება თანაბარი იყოს. ჩვენთან არსებობს ისტორიის სტერეოტიპული სწავლება, როგორც მეცნიერებისა მოვლენების ჯაჭვის შესახებ წარსულიდან დღევანდლობამდე. სახელმძღვანელოებში ერთიანი მეცნიერული ხაზის დაცვაც სწორად ამ სტერეოტიპული აზროვნების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს მოსწავლეებშიც და მასწავლებლებშიც.

თავისუფლების ინსტიტუტი და არასამთავრობო ორგანიზაცია **ALPE** ერთობლივად ახორციელებს პროექტს სახელმწიფოებში "მონაწილეობა სკოლებში ბიუჯეტიზაციისას". პროექტში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ შემდეგ მისამართზე: **თავისუფლების ინსტიტუტი**
მისამართი: ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. N23. ტელეფონი: 936615. ფაქსი: 936784
თავისუფლების ინსტიტუტის ვებ გვერდი: www.liberty.ge
ALPE
მისამართი: ა. ჭავჭავაძის ქ. N 8/33. ტელეფონი: 922914. ფაქსი: 920596. ALPE-ს ვებ გვერდი: office.alpe.ge

პროექტს "მონაწილეობა სკოლებში ბიუჯეტიზაციისას" ჩვენი გაზეთის კიდევ სამი გვერდი დაეთმოა. ჩვენ მოხარული ვიქნებით ამომწურავი პასუხი გაცეთ ყველა თქვენი შეკითხვას და გავიზიაროთ თქვენი მოსაზრებები. მოგვანოდეთ ისინი შემდეგ მისამართებზე:
თავისუფლების ინსტიტუტი
მისამართი: ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. N23. ტელეფონი: 936615. ფაქსი: 936784. საკონტაქტო პირები: ვეკო ჭავჭავაძე e-mail: veko@liberty.ge. ქეთი კობიაშვილი e-mail: keto@liberty.ge
გაზეთი "24 საათი"
მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45. ტელეფონი: 20 00 24. საკონტაქტო პირი: ნინო ცინცაძე e-mail: ntsintsadze@24hours.ge

მეიჰვება, როზ გვჰვს მედია, როზორსს ვითხოვთ

ახალი ხელისუფლება წინამორბედისგან დანაშაუარი ბევრი მემკვიდრეობისგან ცდილობს გათავისუფლებას. ზოგი რამ გამოსდის, ზოგი - არა. ერთ-ერთი მემკვიდრეობა, რომლის საჭიროებაც, რატომღაც, დღეს ისევ არის და ხელისუფლებაში არც არავინ ცდილობს მისგან თავის დაღწევას, მედია ურთიერთობებია. ეს, ალბათ, მედიის საშუალებათა ხელახალი გადანაწილების ბრალიც არის - ხელისუფლებისადმი მიმხრობის კუთხები შეიცვალა. ის, ვინც ახალ ხელისუფლებას ადრე გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა, ან მომლოდინე პოზიცია ჰქონდა, დღეს მის გვერდით თბილად მოწყობას ცდილობს. სამ დანარჩენ ხელისუფლებას კი მეოთხე ისე სჭირდება, როგორც ლომს კლანჭი, ამიტომ კონფორმისტ მეოთხეზე დიდხანს არ იტყვის უარს. ასეთი მედიასაშუალებებიც შეკვეთილი წერილებისა და სიუჟეტების ხარჯზე კიდევ დიდხანს იარსებებენ... რა არის საჭირო იმისთვის, რომ პრესა განვითარდეს და ახალი რეალობის ადეკვატური გახდეს - ჩვენი დღევანდელი სტუმარი სწორედ მედია-მკვლევარი სალომე ასათიანი.

- მედიის კვლევა ჩვენში ახალი დარგია. აქამდე არ იყო ამის ინტერესი? - ეს ევროპაშიც ახალი დარგია. მედიას აქამდეც სწავლობდნენ სოციოლოგები, პოლიტოლოგები, ეკონომისტები, როგორც მეცნიერება, 60-70-იანი წლებიდან მოდის. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ დასვლეთში და ამერიკაში სხვადასხვა თემატიკას ექცევა ყურადღება. ალბათ, ჩვენთანაც განვითარდება ეს მეცნიერება.

- ჩვენში მედია ჩაკეტილ წრეზე დადის, აღარ ვითარდება, სულ ერთი და იგივე თემის გარშემო ტრიალებს. მკვლევარსაც ასე ეჩვენება?

- ჩემს მიერ ჩატარებულ ერთ კვლევა-შეგახსენებთ - ეს იყო საერთაშორისო კვლევითი პროექტი - შედეგობი, ინგლისში, ნიდერლანდებსა და საქართველოში გახანიზებული ტელევიზიის მორალური კოდების, ანუ რას სთავაზობენ მაყურებელს prime time-ში. სრულიად განსხვავებული სურათი იყო. ჩვენთან prime time-ის უდიდესი ნაწილი ახალ ამბებზე და დებატებზე მოდიოდა. იქ ამას მინიმალური ეთერი ეთმობა. სატელევიზიო ეთერის ამ საუკეთესო დროში უფრო კულტურულ, სოციალურ თემებს აშუქებენ. ბევრი გავაძვემა იყო მებაღეობაზე, სახლის დიზაინზე, ნამცხერების გამოცხობაზე და სხვა.

- ძალიან განსხვავებულ თქვენს მაშალებს რა რეაქცია მოჰყვა?

- ძალიან გაუკვირდათ. საქართველო სულ სხვა კატეგორიაში მოექცა. საქართველოში ტელედებატების საგანი ისეთი თემები იყო, რომელზეც იქ აღარავინ ამახვილებს ყურადღებას. ეს მათ ძალიან უკვირდათ, თუმცა, არავითარ შემთხვევაში არ გვეულისებოდა, რომ ჩამორჩენილები ვართ და სხვა. იქ აბსოლუტურად სხვა კულტურული კონტექსტია. დღევანდელი ქართული ეთერისკის, კულტურული, სოციალური დონის ძალზე დეცალაჟირი ახსნა მიხედვითაა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გარდავალობის კონტექსტში მოვაქციე, რაც, ზოგადად თუ ვიტყვი, გულისხმობდა ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაზე გადასვლას, დიქტატორის დამხობას. მედიას გადამწყვეტი როლი ჰქონდა და ეს ჩემთვის ძალზე საინტერესო იყო. სხვა კვლევითი პროექტები დისერტაციის თემაზე პოსტდოქტორის კუიკის საქართველოსთან შედარებითი ანალიზი შეიქმნა. ერთი საერთო დაინახე - როგედც ცხარე კოს რეჟიმი დაინერა, ახალი კომერციული არხები გაჩნდა და იქაც ფეერება და საზოგადოება, რომ რაც უფრო კომერციულია მედია, მით უფრო თავისუფალია... პრესასთან მიმართებაში სიტუა "თავისუფალის" გამოყენება გარდამაჟულ ქვეყნებს და არასტაბილურ პერიოდში მყოფ საზოგადოებებს ახასიათებს. არ გამოიგია, დასავლეთში რომელიმე მედიაზე ამბობდნენ, თავისუფალია. იმტომ, რომ ბოლომდე თავისუფალი ვერც ერთი მედია ვერ იქნება და ეს ძალიან კარგად იცინა.

ინგლისის მაგალითზე ვისაუბრებ - მიმჩნია, რომ იქ ოპტიმიზმად არის შემოყვანილი ლიცენზიით დაფინანსებული (BBC) და რეკლამით დაფინანსებული (ITV, CHANNEL 4). BBC მთავრობაზეა დამოკიდებული, რადგან მთავრობა ცვლის ლიცენზიის გადასახადს - ხან დაბლა სწევს და ხან მაღლა. კომერციული არხები რეკლამის მომტანზე არიან დამოკიდებული, ანუ თავისუფლება, როგორც ვნებია, არ გამოიყენება. გამოიყენება კონფორმალურად, ეთიკა, მოქცეობებლობა, ყვეთილი თუ არაკეთილი პრესა...

- საქართველოში დღეს როგორ მითლებენ მაყურებელს prime time-ში ნარმოდგენილ გადაცემას მებაღეობის შესახებ?

- ეს შეუძლებელია და არც მოხდება. ეს იმ ქვეყნებში აშართლებს, სადაც სხვა არაფერია აქტუალური. შედეგობი ხალხს მხოლოდ სახლებს ინტერერირი ადარდება. თუმცა, საქართველოს შემდეგ ინგლისში იყო ყველაზე მეერი პოლიტიკური ახალი ამბები.

ეს კვლევა გასული წლის მაისში განხორციელდა და დაეძინება "სოციალისტებსა" და "დემოკრატებს" შორის პარალმენტში წარმომჩინოლ სკანდალს. გახსოვთ, ალბათ, "სოციალისტების" ლიდერის აბსოლუტურად ფაზისტური გამობრტობა, სადაც ის "დემოკრატებს" არატარველებობა და არასწორი სექსუალური ორიენტაციის აბრალებდა. იქ რომ ეს ნახეს, არ დაიჯერეს, მით უფრო, როცა ამას



სალომე ასათიანი სტუმრად "24 საათის" რედაქციაში

სალომე ასათიანი: დაიბადა 1976 წელს. დაამთავრა თსუ კინომცოდნეობის ფაკულტეტი; ინგლისის სასექსის უნივერსიტეტში წარჩინებით დაიცვა მაგისტრის ხარისხი მედიაში. მაგისტრის მეორე წოდება ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში გენდერის თემაზე მიენიჭა. ახლა მუშაობს დისერტაციაზე, რომელსაც ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში დაიცავს. პარალელურად, ტელევიზიის prime time-ს ამსტერდამის უნივერსიტეტში სწავლობს.



მედიას ბევრად მეტი მოთხოვნები უნდა წაეყენოს, ვიდრე სამთავრობო სტრუქტურებთან მისი დამოკიდებულებაა. აღარ არის იმაზე ლაპარაკი, რომ დაკვეთილი სტატიები ცუდია და უნდა აღმოიფხვრას, ეს ცალსახაა.

"სოციალისტური" პარტიის ლიდერი ამბობდა და თან პარლამენტში. რამდენიმე წერილი მომივიდა, სადაც პროფესორები და მკვლევარები მწერდნენ, ხომ არ შევაძლოო "სოციალისტები" ყველა ქვეყანაში ჰუმანიზმისა და თანასწორობის პრინციპების გამტარებელი არიან.

- რა კატეგორიად დაყოფით ქართულ მედიას?

- ჩვენთან არსებობს ტელეარხი, რომელიც რეკლამებით შემოსული თანხით არსებობს და არხი, რომელიც სახელმწიფოს ჰქონდა მონოპოლიზებული და დღეს საზოგადოებრივ ტელევიზიად გარდაქმნილი პროექტია. პირადად მე, ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ ამ ყველაფერს. ეთიკადან, ჯერ ერთი, არ მიმაჩნია გამართლებულია, რომ ამას ის პირები უდგანან სათავეში, ვინც სულ ცოტა ხნის იმს კორუპირებული და დისკრედიტებული მთავრობის ინტერესების სადარჯლოზე იდგა. მეორედ და უფრო რთული პრობლემა არის ის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლობა, საზოგადოებრივი სერვისი ძალიან კომპლექსურია. ინგლისში BBC-ს დამოკიდებულება სახელმწიფოსთან ძალიან ცვალებადი იყო (სწორედ BBC-ს მოდელი იგულისხმება, როცა საზოგადოებრივ ტელევიზიაზე საუბარი) - გამომდინარე იქნა, თუ ვინ იყო მთავრობაში. იმედი იმდენი, რომ ეს ცვლილება განხორციელდება, მაგრამ არ მოგვეზოდება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა კეთდება და როგორ. როგორც მკვლევარი, ძალიან მინტერესებს, რა ხდება. კომისიაში ბევრი ჩემი მეგობარი (სხვათა შორის, ამ კომისიის მეგობარ) და პროფესიონალია.

- არის დღეს საზოგადოება რეკლუციით მინიჭებული თავისუფლების ხარისხში?

- ჯერჯერობით, ამის არანაირი სიმტკიმი არ ჩანს. თუმცა, საზოგადოების სახელით ვერ ვისაუბრებ. რეკლუციის შემდეგ ერთი რამ პოზიტიური მოხდა - ხალხმა საერთო ძალა რეალურად დაინახა. შეიძლება, ეს ძალზე პოეტურად და ამაღლებულად ჟღერს, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ჩვენ ვინმე ფილოსოფიის პაიში ნათქვამით კი არ ვიცით, არამედ - რეალურად ვიცით, რომ უსამართლობის წინაშე მასობრივი პროტესტის გამოხატვა ჩვენი თავისუფლების ხარისხს ზრდის. შეიძლება, უსამართლობა მთლიანად არ განადგურდეს, მაგრამ ნამდვილად შესუ-

სტდება. რეკლუციის შემდეგ მედია კიდევ უფრო სუბიექტულ და არამდგრად პერიოდი. პრესაში აირია ვითარება - ზოგი ტელევიზია და გაზეთი დახიურა, ან ახალი გაჩნდა. აქ მართლაც გარდამავალი პერიოდი. შინაარსის შერეო კი არანაირი ცვლილება არ არის. ახალი ფორმატები არ ჩანს.

- რას დაუკვეთავს საზოგადოება მედიას და უსმენს თუ არა დღეს პრესა საზოგადოებას?

- ნებისმიერი საზოგადოება და მით უფრო, ქართული უამრავი მრავალფეროვნის სოციალურ და ჯგუფებებსაგან და სუბკულტურებისაგან შედგება. მიმართა, რომ ქართული პოსტსაბჭოთა მედია სწორედ ამ მრავალფეროვნებას გამოხატავს ნაკლებად. არსებობენ განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური, ინტელექტის, ცხოვრების წესის ადამიანები. არც მათ შესახებ და არც მათთვის განსაზღვრული პროდუქცია არ იქმნება.

- გინდათ თქვით, რომ მედია ცალკე და საზოგადოება - ცალკე?

- ალბათ, გარდამავალი პერიოდის ბრალია. საბჭოთა კავშირიდან გამოყოფილია ინერცია, რომ მთავრობასთან ოპოზიციით ყოფნა უკვე პროგრესული ნაბიჯია. თუ გაეთვალისწინებთ იმ ისტორიულ წარსულს, როდესაც მთელი მედია ერთ პარტის ემსახურებოდა, დღეს, რა თქმა უნდა, ბუნებრივია, რომ მედიისადმი წდობის ხარისხი მთავრობის კრიტიკით განისაზღვრება. და თან წინა ხელისუფლებისადმი საზოგადოების მედია ძალზე დაბალი იყო. უამრავი ფაზირი არსებობს, ჩვენიან კი არაფერი იცვლება - მაინც ვერჩებთ ახალი ამბების და შემდეგ გავრცობით ახალი ამბების ფორმატში.

- ხედავთ რესურსს და საფუძველს, რომ ეს შეიცვლება?

- უნდა გავითვალისწინოთ, რომ ესეც ლოგიკური მიზეზებით არის განპირობებული - ცვლილება ახალი მომხდარია და თავისთავად ცხადია, რომ წინა, დისკრედიტებულია ჟღერს, მაგრამ ფაქტია, რომ ტიკული დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მაყურებლის და მეოთხეობის ნდობა დაბალი იქნებოდა და ასეც იყო.

ცვლილებები - ახალია. მედიაზე საუბრისას ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი - პროდუქცია, მფლობელობა,

რას გვთავაზობენ და როგორ იღებს ამას მაყურებელი. მედია მუდმივი პროცესია და დამოკიდებულია სოციალურ ჯგუფზე - წარმომქმნელი-მიმღები. მედიაში, ჯერჯერობით, გაურკვევლობა თუ თვითდაპირუტყვის პროცესი მეინსტრიმია.

- ხედავთ პრესის სურვილს, დარჩეს მიუკერძოებელი?

- ოპტიმისტური შეფასებისგან თავს შევიკავებდი. ვერც მედიაზე ასახულ პროგრესულ ცვლილებას გხედავ და ვერც ცალსახად რეგრესულს.

მედია სოციალური ყოფის შესისხლ-ხორცებული ნაწილია. ის გარშემო გვახვევია და უზარმაზარი დატერთვა აქვს. მედია ტყუილად არ არის მიწნული დემოკრატიის ერთ-ერთ ფესვად. მას მართლაც შეუძლია, გადაღობის მოქალაქეობრივ თვითიქმნება და ჩვენი თავი და მთელი სამყარო დავგანახოს. მედიას ბევრად მეტი მოთხოვნები უნდა ნაყენოს, ვიდრე სამთავრობო სტრუქტურებთან მისი დამოკიდებულებაა. აღარ არის იმაზე ლაპარაკი, რომ დაკვეთილი სტატიები ცუდია და უნდა აღმოიფხვრას, ეს ცალსახაა. მედიის რეალური განვითარება ის იქნება, რომ იყოს ორიენტირებული გარკვეული სოციალური და მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე და ეს მენტორული ლექცია არ არის.

- ჟურნალ-გაზეთებსა და ტელევიზიას რი მოსწყნარება წინა ხელისუფლების დროს გადაღებული მეოცნებები მუშაობა და რაღაც ახლისკენ არ ისნარუება?

- ეს ნაკლებად შეიძწენა. სწორედ ახლა ვაპირებ ერთი კვირის ეთერის ჩაწერას და ჩემი წინა კვლევებისთვის შედარებას. ჟანრები და ფორმატი არ შეცვლილა. მაგალითს მოვიყვან - 202-ზე, თითქმის, ახალი გადაცემა, სხვაგვარად ცდილობენ საუბარს, სლენგი შემოიტანეს, მაგრამ ეს მაინც არ ცდება მთავრობა-ძლიერები-ოლიგარქების კრიტიკას ან ქებას...

- როგორ უნდა გაიხსნას ეს ჩაკეტილი წრე? მედიის ახლად შექმნილი საშუალებები ახალს არაფერს გვთავაზობენ, ეს ხომ არ არის განვითარება?

- რა თქმა უნდა, ეს არ არის განვითარება. ჩაკეტილი წრის გახსნა რთული პროცესია. მედია ვერ აცდება რეგულაციას. დღეს გლობალიზაციის თემა და მსოფლიოს მთელი მედია ერთიანდება. ნებისმიერ ქვეყანაში ხდება მედიის რე-

ეს არა მხოლოდ მედიასთან მიმართებაში შეინიშნება. საზოგადოებრივ ტელევიზიად გარდაქმნისას გამოვა კი თითოეულ ტელევიზორზე ლიცენზიის გადასახდის გადახდა, ან ხელფასიდან დაქვითვა მაშინ, როდესაც ქვეყანაში ხელფასი არ არის?! ბრიტანეთში ასეა - ტელევიზორის ყიდვისას ნებისმიერი ოჯახი იხდის ლიცენზიის გადასახადს, იმის მოუხდედად, უყურებს თუ არა BBC-ს, ამით ცხოვრობს ეს არხი. ასეთ ევროპულ მოდელზე ნაუცბათევად გადასვლა არ ივარგებს, ამას ეკონომიკური საფუძველი უნდა ჰქონდეს.

- დღეს მკვლევარები ამჩნევენ პრესაზე ხელისუფლების ზეწოლას?

- ზეწოლაა ისიც, როცა ამბობენ - დავგვადეთ, ახალი მოსულები ვართ, ვიცით, რასაც ვაკეთებთ და ა.შ. ზეწოლის ათასნაირი ფორმა არსებობს. არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ მედიაში არ არის ამისგან დაზღვეული. ეს არ მიმაჩნია გამართლებულად.

- როგორ უნდა დადნის ამას პრესამ თავი?

- რთული სათქმელია. ცალკეული შემთხვევების პროფესიონალიზმზე ეს ნაკლებად არის დამოკიდებული. საქართველო პატარა ქვეყანაა, ყველა ერთმანეთს იცნობს. რეკლუციის შემდეგაც გრძელდება ის ჩაკეტილი ურთიერთობები, რაც წინა ხელისუფლებაში იყო. ძალიანაც რომ უნდოდეს, იყოს მოუკერძოებელი, ცალკეულ შემთხვევებს, შეიძლება, არ გამოუვიდეს.

როგორ ვაიძულოთ ოლიგარქები, რომ ხალხის, საზოგადოების სამსახურში ჩაღწენ. რეგულაცია ერთ-ერთი გამოსავალია. მეორე - ანტიმონოპოლური კანონების შექმნა შეიძლება იყოს.

- მეოთხეობისა და მაყურებლის წინაშე მედიის ანგარიშვალდებულება რა არის?

- მრავალია - ინფორმაციის მიწოდება, გართობა და სხვა. როგორც საქართველოში მცხოვრებ მაყურებელს, მკითხველსა და მკვლევარს მიმაჩნია, რომ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, მედიის მოვალეობა არის ის, რომ დაინერგოს მუშაობა ახალი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის, რის სიმტკიცეზესაც ნაკლებად ვხედავ, მაგრამ, ალბათ, ეს დროებითია.

- ხელისუფლებისთვის ძალაუფლება და მედია ერთნაირი ღირებულება?

- მედიის მოახრება ძალაუფლების გარეშე წარმოუდგენელია. იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სოციალური. ვის აქვს უფლება, ისაუბროს მედიაში - ეს უკვე ძალაუფლებაა. რა არის მნიშვნელოვანი და რა არა, რა არის პირველი "ნოუსი" და რა - მეორე. ხელისუფლებისთვის მედია შეუცვლელი იარაღია, მით უფრო, საქართველოში. "რუსთავი 2"-ისადმი ნდობა ისევ ძლიერია და ეს მანიპულირების ხარისხსაც და სამშორეობასაც ერთი-ორად ზრდის. ამას ხელისუფლება ხედავს. მაგრამ, ისევ უნდა დაუფერჯოთ მათ დემოკრატულობას და ენახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ეს ყველაფერი ზედამიწეზეა.

- რამდენად მოუწდება დღეს ხელისუფლებას, დაარეგულიროს და თავისი ადგილი მოუჩინოს მედიას?

- ცდუნება დიდია. მედიის თავისუფლების განსაზღვრადი დღეს საბჭოთა ინერცია ძალზე ძლიერია. ადრე ხელისუფლების ლანძღვა არ შეიძლებოდა, დღეს შეიძლება და ეს უკვე კარგია - ამით დაკმაყოფილება ტოტალიტარიზმის გამოძახილია. გარდა ამისა, ამდენ ხანს კიდევ არცებოდა აბსოლუტურად კორუმპირებული და დისკრედიტებული მთავრობის ინტერესების სადარჯლოზე მდგარი სახელმწიფო ტელევიზია. იმის ცდუნება, რომ ყველაფერი ისევ ისე დარჩეს, დიდია და შესაძლებლობებიც არის. მედილად მონიტორინგი ინფორმაციით ვხედავთ, რომ პოლიტკაში ინტრეგებია... მაგრამ იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება ამას შეცვლის. ჩვენი საზოგადოება იმსახურებს, იყოს ინფორმირებული, მრავალფეროვანი თუ მატყითი უზრუნველყოფილი. ჯერ კიდევ ტაბუდადებული თემები და პრობლემები უამრავია. მედიას შეუძლია ამ ტაბუების მსხვერვა.

ამდენი დროში ადამიანია ამ ქვეყანაში და ეს მხოლოდ სენტიმენტალური ჩანახატების დონეზე შეუძლებ. საზოგადოებრივ ინტერესებში ჩამდგარ მედიაში ეს უკანასკნელი თემა არ უნდა იყოს. ჩვენ ყველაფერი, რომელიც კონკრეტული, შეიძლება, უმცირესობა ვიცით. მედია ხალხის ინტერესების სადარჯლოზე და სამსახურში უნდა იდგეს.

- დღეს, ქართველი ჟურნალისტები მზად არიან კომიტეტებში ან ასოციაციებში გასართიანებლად?

- დღეს არ არის გათავისებული ამის საჭიროება და გარდა ამისა, ჩვენთან პროფკავშირების იდეა ძალზე დისკრედიტებულია. თუმცა, არა მგონია, რომ ჟურნალისტები მზად იყვნენ გასართიანებლად. ერთმანეთისადმი კოლგალიობისგან აბსოლუტურად დაღვლილი დამოკიდებულება აქვთ. ენახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ერთ წელიწადს მაინც შესაძწევ ცვლილებებს არ ველო. არავინ იცის, რა მედიის ვილებთ - იმას, რაც გვინდა, თუ იმას, ვიღაც რომ გადაწყვიტს, რომ ჩვენ გვინდა. მგონია, რომ უფრო ეს უკანასკნელია.

ჩემთვის ისიც გამაღიზიანებელი ფაქტორია, როდესაც ბევრი აპლოდებს გამოთქმით "საზოგადოება ამისთვის ჯერ მზად არ არის", საზოგადოებისთვის ეს მოუღებელია - ამის განსაზღვრა არავის შეუძლია. საზოგადოება ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც უამრავი დაჯგუფებისგან შედგება. მზახობს განსაზღვრა რთულდება, როგორ გადაინაწილება... რაღაცნაირად გვაყრწყდება ჩვენი რეალობა და

- ამ გზას ადგას ქართული მედია?

- ჯერ არა. ენახოთ, როგორ განვითარდება, როგორ გადაინაწილება... რაღაცნაირად გვაყრწყდება ჩვენი რეალობა და



კონცერტები

ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი

"ქართული სული"
სცენაზეა ანსამბლი "რუსთავი"
დას.: 19:00 სთ.

კონსერვატორიის დიდი დარბაზი
რომის პაპის იოანე პავლე II-ის აღსაყდრების 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი მონაწილეობს: საქტელერადიო კორპორაციის სიმფონიური ორკესტრი დირიჟორი - ზაზა აზმაფიარაშვილი
დას.: 19:00 სთ

თეატრები

თეატრალური სარდაფი

პატრიკ ზიუსკინდის მიხედვით
"კაფე როსინი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას.: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში

აექსენტი ცაგარელი
"ზანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას.: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი

მილერი
"ყველა ჩემი შვილია"
რეჟისორი: ლეო ანთაძე
დას.: 19:00 სთ.

პანტომიმის თეატრი
"კიდევაც დაიზრდებიან"
ავტორი და რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი
დას.: 19:00 სთ.

კინოთეატრები

კინოს სახლი

გერმანული ფილმების მესამე კვირეული

"შომაელის ვერსია"
დას.: 15:00 სთ.

"ცის კარიბჭე"
დას.: 18:00 სთ.

"შვიდობით, ლენინ!"
დას.: 21:00 სთ.
დასრებათ თავისუფალაი

რუსთაველი

"ჩემი ძმა დრუწა"
დას.: 12:00; 14:00; 16:00 სთ.

"ვან პელსინგი"
დას.: 17:30 სთ.

"50 პაეზინი"
დას.: 20:00 სთ.

"არსად აფრიკაში"
დას.: 22:00 სთ.

ახმეტელი

"ჩემი ძმა დრუწა"
დას.: 12:00; 13:30; 15:00 სთ.

"ვან პელსინგი"
დას.: 16:30 სთ.

"არსად აფრიკაში"
დას.: 19:00 სთ.

"50 პაეზინი"
დას.: 21:30 სთ.

ამირანი

"ტროა"
დას.: 10:00; 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.
ფასი: 5-11 ლარი

მხატვრის კვირეული

ეძღვნება საქართველოს მხატვართა კავშირის 70 წელს
"**ჰობი**"
"თანამედროვე ქართული გრაფიკა"
გახსნა: 16:00 საათზე

"**უნივერსი**"
რეტროსპექტივა.
გ. ფარასტაშვილის კოლექციებიდან
გახსნა: 18:00 საათზე

გამოფენები

გალერეა "კოპალა"

ესმა ონიანის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

"ორიენტი"

ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

სურათების ეროვნული გალერეა

გამოფენა-კონკურსი "9 აპრილის მემორიალი"

კლუბები

"აჭარა მიუზიკ პოლი"

დო-ჯეი ლიზა ლუმიზ (დიდი ბრიტანეთი)
დო-ჯეი A Star (აშშ)
დო-ჯეი Tomkin (GEORGIA)
კლუბის გახსნა: 22:00 საათზე
ბილეთის ფასი: 35 ლარი

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგაწყოფილი ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

ციხნის სახლი წარმოგიდგენთ

სამშაბათს, 25 მაისს, 17 საათზე გურამ რამიშვილის საავტორო სკოლის მოსწავლეები კითხულობენ გერმანული ლიტერატურის ნიმუშებს.

ხუთშაბათს, 27 მაისს, 17 საათზე ზაალ სამადაშვილის (ციკლი "ახალი განზომილება". სტუმარი დავით გოგიბედაშვილი. თემა – "ჯეიმს ჯოისი და ბრიტანული მუსიკა".

მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50

6 ივნისს

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - "Превращения в Луюморье"
დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.
დას.: 13:00; 15:00 სთ.

მემორიალური გამოფენა "მხატვრის კვირეულიდან"

თეონა ჯაფარიძე

მხატვრის კვირეულის გამოფენათა ციკლს, რომელიც მხატვართა კავშირის 70 წლის იუბილეს ეძღვნება, გალერეა "კოპალაში" გამოფენილმა ესმა ონიანის ფერწერულმა ტილოებმა მეტად სოლიდური ელფერი შეჰმატა. გაემოფენის ოფიციალურ გახსნაზე მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ, ბატონმა გაია ჯანბერიძემ აღნიშნა, რომ კავშირის საიუბილეო პროგრამაში ორი მემორიალური გამოფენა (ესმა ონიანის გალერეა "კოპალაში" და ირაკლი ფარჯიანის "ზაიას გალერეა") ლოგიკურად ჩაჯდა.

გამოფენის გახსნას საქართველოში არსებული უცხოურ საელჩოთა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ორი დღის წინ კი ამერიკის ელჩმა ქართველ ხელოვანებთან შეხვედრა, საელჩოს ნაცვლად, სწორედ "კოპალაში" მოწაყო, სადაც ესმა ონიანის გამოფენისათვის ემზადებოდნენ. უცხოელ დიპლომატთა ასეთი დიდი ინტერესი

მადი სარაზარიაკოვა

უკანასკნელი სამი კონცერტი კონსერვატორიამ საკუთარი სტუდენტების შემოქმედებითი წარმატებების სადემონსტრაციოდ გამართა. ბოლო წლების მანძილზე, სტუდენტური დღეები საქართველოში საკმაოდ ხმაურიანად, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც ხარისხიანად აღინიშნებოდა: კონცერტები ფონოგრამებით და ერთმანეთში გაურკვეველი მიზეზით არეული სუფრულ-კლასიკურ-ფოლკლორული ეპიზოდებით - მაღალმხატვრული ღისებებით ვერ დაიკვეხნიდა, თუმცა ესეც დიდი სტიმული იყო სტუდენტური თვითშემოქმედებით დაინტერესებული ახალგაზრდობისათვის.

კონსერვატორიის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქ თვითშემოქმედება ცოტა შეუფერებელია. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ჩატარებულ "საკანცელარო" ღონისძიებებში კონსერვატორიის ადგილი ძნელად თუ მოიძებნებოდა. შესაძლოა, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ წელს კონსერვატორიის მესვეურებმა აქცენტი არა საერთო სახალხო სტუდენტურ ტაშ-ფანდურზე, არამედ უფრო აკადემიური ხასიათის ღონისძიებებზე გაუკეთეს. წლის სტუდენტური ანგარიშში აქ სამი სერიოზული კონცერტი ი აღინიშნა, რომელმაც თითქმის ყველა მუსიკალური დარგი მოიცვა (ცხადია, თეორიული-მუსიკათმცოდნეობითი სპეციალობების გარდა).

გუშინ, დიდ დარბაზში დასკვნითი გალა-კონცერტი სოლისტმა შემსრულებლებმა გამართეს. მანამდე დარბაზი საგუნდო და საორკესტრო დარგებს დაეთმო.

საანგარიშო კონცერტების ტრადიცია კონსერვატორიაში თითქმის დარსების დღიდან არსებობდა, თუმცა არა ასეთი ორგანიზებული, ლაკონური და, ამავე დროს, დახვეწილი ფორმით. როგორც მანამდე კონსერ-



გამოფენის გახსნაზე

ამ ავტორის მიმართ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მისი შემოქმედების დამსახურებაა, მაგრამ არის კიდევ ისეთი ნიუანსებიც, რამაც ესმა ონიანის გარდაცვლების შემდეგ მის მხატვრობას ერთგვარი პოლიტიკური აქ-

ციის შინაარსი შესძინა. მხატვრის დანატოვარსა და მიუღ კოლექციას დღეს მისი და - ირინე ონიანი უვლის და პატრონობს. სწორედ ქალბატონი ირინეს პოლიტიკურმა თუ დიპლომატიურმა ჟესტმა მიანიჭა ესმა ონიანის

შემოქმედებას ამ ცოტა ხნის წინათ ერთგვარი აქციის სახე: ევროკავშირის ოჯახის გაფართოების დღეს ქალბატონმა ირინემ მხატვრის ტილოებითა და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ორენოვანი კატალოგიით (სადაც შეტანილია ესმა ონიანის ფერწერა, პოეზია, ესეები) დაასაჩუქრა ევროკავშირის ახალ წევრთა თბილისში არსებული წარმომადგენლობები - პოლონეთის, ლიტვის, ჩეხეთის. "ფაქტობრივად, ეს იყო საქართველოს მოქალაქის საჩუქარი. მაღე თქვენითვისაც მომელოცოს", - გვითხრა დღეს გამოფენაზე სტუმრად მოსულმა ლიტვის წარმომადგენელმა ქალბატონმა ირენ სლიზევიჩიუტემ. "სუორათს, რომელსაც თან წავიღებთ პოლონეთში, საქართველოსა და ონიანების ოჯახის სასოვარი იქნება", - აღნიშნა პოლონეთის ელჩის მეუღლემ.

გამოფენაზე მოსულმა დათვალაოერებელმა კი კიდევ ერთხელ გაისჩენა ესმა ონიანის ცნობილი "თბილი მონითალო გაბა და ისფერი ტონები".

მხატვრის კვირეული გრძელდება.

"დაბრუნება ბავშვობაში"

ან კონსერვატორიის მუსიკალური ანგარიში



ვეფხია ნიკლარი

ვატორიის რექტორთან საუბარშიც აღინიშნა, თითოეული საკონცერტო ნომერი კონკურსის საფუძველზე ირჩეოდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამ კონცერტების მიზანი არა მხოლოდ სტუდენტთა წარმოჩენა, არამედ უკვე პროფესიონალური შემოქმედებითი ძალების დემონსტრირება იყო.

პირველი და ალბათ ყველაზე საინტერესო ღონისძიება 21 მაისს გამართული სტუდენტური ორკესტრის კონცერტი იყო. ნიდერლანდელი დირიჟორი ლევ მარკიზი ამ თარიღისთვის დიდხანს ამზადებდა ორკესტრს. მარკიზი საერთოდაც დიდ დახმარებას უწევს კონსერვატორიას და მის სტუდენტურ ორკესტრს. ამ კონცერტზე სტუდენტებს პარტნიორობა თავად რექტორმა, ცნობილმა პიანისტმა მინანა დოიჯაშვილმაც გაუწია.

კონცერტის და საერთოდ მთელი ამ საანგარიშო ღონისძიებების ყველაზე გამორჩეული ნომერი გააყანჩელის წანარმოების პრემიერა იყო.

"დაბრუნება ბავშვობაში" თბილისში 15 წლის დაგვიანებით შესრულდა. თუმცა, მას სწორედ ის დირიჟორი

ასრულებდა, ვისთვისაც ეს წანარმოები თავის დროზე დაიწერა. **"გარკვეული საამყით შემიძლია თქვა, რომ ეს წანარმოები დაიწერა სპეციალურად შესანიშნავი პოპოისტის ბარტა შნემანისა და ჩემი ორკესტრისთვის Sinfonietta Amsterdam** - აღნიშნა დირიჟორმა ლევ მარკიზმა - **ჩვენვე ვიყავით მისი პირველი შემსრულებლები, ახლა კი წილად მხვდა ბედნიერება ეს შესანიშნავი წანარმოები კომპოზიტორის სამშობლოში წარმოვადგინო."**


"დაბრუნება ბავშვობაში" ბარტა შნემანის შესრულებით, სამწუხაროდ, არ მოიმშენია, თუმცა კონსერვატორიის სტუდენტის გიორგი გვანცელაძის შესრულებით იგი უდაოდ აღაჩვენებრივად ჟღერდა. სევედა, ნოსტალგია, ალტკინება, სინაზე, მდიდარი და კოლორიტული მუსიკალური სახეები, სენტიმენტალური მელიოდიები და მძაფრი რიტმები - ყველაფერი, რაც ასე ბუნებრივია ყაჩაღლის მუსიკისთვის და ძალზედ მონატრებული მეტწილად დასავლეთში და დასავლური ორკესტრებისთვის

სტუდენტური ფილმების ფესტივალი დასრულდა

სალონო კიკალიპოვილი

უამრავი ხალხი, ალღელებული მონაწილეები და უშუქობის გამო დაგვიანებით დანეჭებული საზეიმო დახურვა - ასეთი იყო გუმბინდელი დღე კინომსახიობთა თეატრში, სადაც სტუდენტური ფილმების ფესტივალი "ესილი 2004" საზეიმოდ დაიხურა. ფესტივალს, რომელიც უკვე მეოთხედ ტარდება, საუფველო 2001 წელს, კინორეჟისორმა დათო ჯანელიძემ ჩაუყარა. ის ამჯერად გარკვეული სახეცკილეებით ჩატარდა; ჟიურის ახალი შემადგენლობა ასეთი იყო: თამარ ბოკუჩავა, თამარ სხირტლაძე, ნანა ჯანელიძე, ელისო ერისთავი, ამირან ჭიჭინაძე, კახი ზუციშვილი, გია გერსამია და გიორგი კალაგოზიშვილი; ფესტივალის ორგანიზირება ამჯერად ითავეს დათო ჯანელიძის ახალგაზრდა კოლეგებმა და შეიძლება ითქვას, რომ მშვენივრად გაართვეს თავი, რადგან ფესტივალის წინამორბედებისგან განსხვავებით ბევრად უკეთ იყო ორგანიზირებული, რაშიც დიდი წვლილი იმ 25 სპონსორს მოუძღვის, რომელთაც დაფინანსეს ღონისძიება, მათ შორის გენერალურ სპონსორებს: კომპანია GWS-ს, BP-ს და კავშირს "ჯგუფი სამგორი".

საკონკურსო ფილმების ჩვენება ხუთი დღის მანძილზე მიმდინარეობდა. კინომსახიობთა თეატრში 56 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი, რომელთა შორის საუკეთესოები სწორედ გუშინ დაჯილდოვდნენ. მართალია, კანის სკანდალური გადაწყვეტილების ფონზე, სტუდენტური ფილმების ფესტივალზე არა-



თო უფმაჯურიძე (მონტაჟი), გიორგი მასხარაშვილი (საუკეთესო მამაკაცის როლი ფილმში "გუმინდელს"), ლევან ტატეშვილი (ორიგინალური გადანწყება), გიორგი ჩალაური (საუკეთესო დებიუტი), თორნიკე ბზიავა (შემოქმედებითი ძიება), რუსუდან ჭყონია (მოქალაქეობრივი პოზიცია), დანი დარჩია (კამერული გადანყება), მაია კიკაბიძე (მოკლემეტრაჟიანი ფილმი), გურამ ნავროზაშვილი და მუხრან მახარაძე (სპეციალური პრიზი). კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა, კინომცოდნე მარინა კერესელიძემ და ბესო გიორგობიანმა სპეციალური პრიზი რეჟისურაში გადასცეს ნიკა ბუჟანიშვილის ფილმისათვის "გუმინდელს".

ფესტივალის მთავარი პრიზი "ესილი 2004"-ით დაჯილდოვდენ:

საუკეთესო ოპერატორული ნამუშევარი - გოგა დევდარიანი ("დოლი"; "უსმინე მოპენს" და "უსათაუროდ")

საუკეთესო მხატვრობა - დათო ჯანიაშვილი და ნათია ბებურიშვილი ("ხლართი")

საუკეთესო ექსპერიმენტალური ფილმი - თამუნა სულამანიძე ("პარად აშური". კინემატოგრაფიის კავშირის სპეციალური პრიზი)

საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი - მაია გურაბანიძე ("ასანთი")

საუკეთესო დოკუმენტური ფილმი - დავით უჯმაჯურიძე ("დოლი")

საუკეთესო სცენარი და საუკეთესო მხატვრული ფილმი - არჩილ ქავთარაძე ("უსათაუროდ")

რეკლამა

პოეტური პროზა თუ პროზაული პოეზია?

თათა ცოფარაშვილი

შეგიძლიათ დაბეჯითებით გაავლით ზღვარი პროზასა და პოეზიას შორის? "ეს ხომ იოლია," - იტყვიით თქვენ და ჩამოთვლით პოეზიის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშებს: პოეზია ესაა რითმით გაჯერებული ტექსტი, რომელიც შინაგანი მუსიკის საფუძველზე იქმნება (ყოველ შემთხვევაში ასე აღგვიწერდა მისეული შემოქმედებითი აღმაფრენის სტუმრობას ძველი დროის ასევე ძველი მიღერი); პოეზია არღვევს ყოველდღიურობის რუტინას ახალი პოეტური სამყაროს შემოთავაზების ხარჯზე და გვეპატიჟება ალუზიების, მეტაფორების, ახალი მხატვრული სახეების სამყაროში. და ეს ყველაფერი გართიმული - გენიალურად, ხალხურად, ნიჭიერად აუ უნიჭოდ, - მაგრამ მაინც გარკვეულ რიტმს მისადაგებული რითმას საშუალებით ხდება. "პოეზია ადამიანური შემოქმედების უმაღლესი ფორმაა!" - არისტოტელეს მსგავსად დასკვნით თქვენ და მეც დავთანხმებით.

მაგრამ, აქვე ერთი კითხვა შევალისათვის: არსებობს კი პოეზია ზოგადად, და ლექსი კერძოდ, რითმის გარეშე? ზოგიერთი თქვენთანაა პასუხს დააყოვნებს, ზოგი მხრებს აიჩნევს, ზოგიც გადაჭრით იუარებს, ეს ხომ წარმოუდგენელიაო. მე კი, მოვასდენ რა ლიტერატურული პრემია "საბას" ჟიურის არჩევანის კონსტატაციას, გეტყვით, რომ ეს, დიდაც, შესაძლებელია და მისი მაგალითი ბესიკ ხარანაულის ნაწარმოებია - "წიგნი ამბა ბესარიონისა".

ნაწარმოები შექმნილია 1992-2002 წლებში და სამი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან თითოეულს წინ უძღვის პროზაული შესავალი. თუმცა, მიუხედავად ამ სამი ნაწილიანობისა, იგი მაინც მთლიანობად წარმოგვიდგება - სხვანაირად ხომ არც შეიძლება თუკი ყველაფერი ერთი კაცის, ამბა ბესარიონის მონაცელია!

მხოლოდ სათაურიდან და პოეტის სახელიდან მიხედება კაცი, რომ წიგნი საკუთარ აღსარებადა ჩაფიქრებული. თუმცა ჩანაფიქრი ერთია და მხატვრული ფორმა, რომლითაც პოეტი მას ახორციელებს, მეორე:


როგორც პოეტური წიგნის პროზაულ შესავალში ბატონი ბესიკი გვამცნობს, ამ აღსარების გამომხილებლად მას ბავშვობის მოგონებად ქცეულ, მის სოფელში მოსარჩელე შემოღლი ამბა ბესარიონს აუჩრევია ალტერ-ეგოდ. მართალია, პოეტი იქვე გვარწმუნებს, "სისულელე იქნება ვთქვა, რომ ის

ამბა ბესარიონი დღეს მე ვარო," მაგრამ ასეთი გადარწმუნება, დამეთანხმებით, ალბათ, რომ მხოლოდ დარწმუნების ტოლფასია.

"რატომ ამბა ბესარიონი და ისიც შემოღლი?" - იქნება თქვენი მორიგი კითხვა: აკი ასე უშუალოდ აღგვიწერენ თავის სათქმელს სხვა პოეტები - გალაკტიონი, რილკე, პიოლდერლინი? კი, მაგრამ ეს ხომ ადრე იყო, - იქნება პასუხი - ძველად, ან უკვე თავისი მოძველებული კლიშეებით გაჯერებულ დროს! ბატონი ბესიკ ხარანაულის გონება მახვილური მიგნება კი იმაში მდგომარეობს, რომ პროზაიკოსთა მსგავსად მანაც სათქმელი სხვისი (იგივე თავისი გმირის) პირით თქვას და შესაბამისად, მწარე სიმართლისგან გამონეულ დარტყმასაც მისამართი მისცეს. სიმართლეზე - ზოგადასაკცობრიოზე, ზოგადადამიანურზე, ან სულაც, ადამიანურზე ზედმეტად ადამიანურზე - პრეტენზია კი წიგნს უკვე ამბა ბესარიონის ფიგურის გამო აქვს: პოეტური შაირები (არა ვეფხისტყაოსნის თექვსმეტ მარცვლიანი, არამედ პოსტმოდერნული არაკანონზომიერებით განპირობებული, ასე ვთქვათ, "თვითნება" შაირები) გიუის პირითაა ნალაღადები "უდაბნოსა შინა": გიუი კი, როგორც მოგვხსენებათ, სიმართლის მაუწყებელი ლოთებისა და ბავშვების იერარქიაში რიგით პირველია. ასე, რომ კრებულში მოთავსებული პროზაული პოეზია თუ პოეტური პროზა მამხილებლობისა და "ამა სოფლის ქეშმარიტების" მაუწყებლობის უდავო პრეტენზიით გვევლინება.

მაინც რა არის "წიგნი ამბა ბესარიონისა"? თუკი კრებულს თავიდან ბოლომდე გულდასმით ნაიკითხავთ, მიხედვით, რომ ეს ფიქრებია, მხოლოდ ხმამალა გამოთქმული ფიქრები. კრებულის მესამე დასკვნითი ნაწილის შესავალში პოეტი პროზაულად განგვიმარტავს მისი პოეტური პროექტის არსს: არ გეგონოთ ამბა ბესარიონი მხოლოდ მიხეტიალე შეურაცხადი. არა, იგი ის ადამიანია, რომელიც "მიდის და მილაპარაკობს", და ამ "მილაპარაკობის" გზით, **ადამიანი მიხზეული** ხდება. აქ ავტორმა ადამიანის ყველა არსებულ განსაზღვრებას, homo sapiens-ის (გონიერი ადამიანი) კეთილხმოვნების კვალად და homo ludens-ის (მოთამაშე ადამიანი) გავლენით, ადამიანობის არსის გამომხატველი კიდევ ერთი ახალი ფორმულირება მოუძებნა - homo imaginans, ავტორისეულივე თარგმანით "მიხზეული" (და არა მხოლოდ "წარმომსახველი") ადამიანი.

მიხზეული ადამიანი კი ის ადამიანია, რომელიც "მიდის და მილა-



პარაკობს" და გვიტოვებს რუსთაველის მიმართაც კი კონკურენტუნარიან ახალ ქართულ აფორიზმებს: "როცა მესს სახეს დაკარგავ, / მაშინ იპოვნი სხვას" (104-ე ლექსი), "ადამიანს უფრო მეტი მტვერი შეუძლია მოაგროვოს / თავის ფილტვებში, ვიდრე აზრი თავის გინებაში" (97-ე ლექსი), "შესაშურის ყველას შურს იმიტომ, რომ / შესაშური" (100-ე ლექსი), "ნამდვილი იუმორი სიმორცხვის მიზეზია" (75-ე ლექსი), "ზოდიში გაივლის / და კაცი ის ადამიანია, რომელიც "მიდის და მილაპარაკობს", და ამ "მილაპარაკობის" გზით, **ადამიანი მიხზეული** ხდება. აქ ავტორმა ადამიანის ყველა არსებულ განსაზღვრებას, homo sapiens-ის (გონიერი ადამიანი) კეთილხმოვნების კვალად და homo ludens-ის (მოთამაშე ადამიანი) გავლენით, ადამიანობის არსის გამომხატველი კიდევ ერთი ახალი ფორმულირება მოუძებნა - homo imaginans, ავტორისეულივე თარგმანით "მიხზეული" (და არა მხოლოდ "წარმომსახველი") ადამიანი.

მიხზეული ადამიანი კი ის ადამიანია, რომელიც "მიდის და მილაპარაკობს" და გვიტოვებს რუსთაველის მიმართაც კი კონკურენტუნარიან ახალ ქართულ აფორიზმებს: "როცა მესს სახეს დაკარგავ, / მაშინ იპოვნი სხვას" (104-ე ლექსი), "ადამიანს უფრო მეტი მტვერი შეუძლია მოაგროვოს / თავის ფილტვებში, ვიდრე აზრი თავის გინებაში" (97-ე ლექსი), "შესაშურის ყველას შურს იმიტომ, რომ / შესაშური" (100-ე ლექსი), "ნამდვილი იუმორი სიმორცხვის მიზეზია" (75-ე ლექსი), "ზოდიში გაივლის / და კაცი ის ადამიანია, რომელიც "მიდის და მილაპარაკობს", და ამ "მილაპარაკობის" გზით, **ადამიანი მიხზეული** ხდება. აქ ავტორმა ადამიანის ყველა არსებულ განსაზღვრებას, homo sapiens-ის (გონიერი ადამიანი) კეთილხმოვნების კვალად და homo ludens-ის (მოთამაშე ადამიანი) გავლენით, ადამიანობის არსის გამომხატველი კიდევ ერთი ახალი ფორმულირება მოუძებნა - homo imaginans, ავტორისეულივე თარგმანით "მიხზეული" (და არა მხოლოდ "წარმომსახველი") ადამიანი.

მიხზეული ადამიანი კი ის ადამიანია, რომელიც "მიდის და მილა-

პარაკობს" და გვიტოვებს რუსთაველის მიმართაც კი კონკურენტუნარიან ახალ ქართულ აფორიზმებს: "როცა მესს სახეს დაკარგავ, / მაშინ იპოვნი სხვას" (104-ე ლექსი), "ადამიანს უფრო მეტი მტვერი შეუძლია მოაგროვოს / თავის ფილტვებში, ვიდრე აზრი თავის გინებაში" (97-ე ლექსი), "შესაშურის ყველას შურს იმიტომ, რომ / შესაშური" (100-ე ლექსი), "ნამდვილი იუმორი სიმორცხვის მიზეზია" (75-ე ლექსი), "ზოდიში გაივლის / და კაცი ის ადამიანია, რომელიც "მიდის და მილაპარაკობს", და ამ "მილაპარაკობის" გზით, **ადამიანი მიხზეული** ხდება. აქ ავტორმა ადამიანის ყველა არსებულ განსაზღვრებას, homo sapiens-ის (გონიერი ადამიანი) კეთილხმოვნების კვალად და homo ludens-ის (მოთამაშე ადამიანი) გავლენით, ადამიანობის არსის გამომხატველი კიდევ ერთი ახალი ფორმულირება მოუძებნა - homo imaginans, ავტორისეულივე თარგმანით "მიხზეული" (და არა მხოლოდ "წარმომსახველი") ადამიანი.

ასეთი ლაკონურია მოზუტბუტე ამბა ბესარიონისა თუ პოეტ ბესიკ ხარანაულის პროზაული პოეზიის (თუ პოეტური პროზის) სენტენციები. თუ კი ისინი ქეშმარიტად გენიანებათ, ეს ცხოვრებისეული სიბრძნისა და გამოცდილების გამოვლენა იქნება, რომელიც ასე ენათეუავება პროზაულ პოეზიას და homo imaginans-ის თხზულებებს. ამ სენტენციებში კი ნუ დაიწყებთ რითმის სილამაზის და კეთილხმოვნების ძებნას: კაცობრიობამ ხომ

როგორც ნიცშეს "ზარატუსტრა", ისე ბესიკ ხარანაულის "ამბა ბესარიონი" პოეტური ფორმითაა გადმოცემული (თუმცა ნიცშეს შემთხვევაში ეს საკმაოთი არანაირად არაა, განსხვავებით ბატონი ბესიკისა). ორივე წიგნის მთავარი, გენეაზეთ, მიხრობელი პერსონაჟი მისტიკურია: ზარატუსტრას, ზორიასტრიზმის დამაარსებელი ამ წინასწარმეტყველის, ისტორიის მოყოლით თავს აღარ შეგანყენთ. ბერ ამბა ბესარიონს კი, როგორც პოეტი შესავალ პროზაულ ნაწილში გვიყვება, ახალი ნელთადრიცხვის მეოთხე საუკუნეში უცხოვრია ევროპეში, შემდეგ მონასტერი დაუტოვებია და არავინ უწყოდა სად და როდის გარდაიცვალა იგი... მერე კი პოეტის სოფლის ბილიკებზე გამოჩენილა "მიმავალი და მიმლაპარაკებელი".

თუმცა, პერსონაჟები მხოლოდ მისტიკურობით არ ჩამოგვანან ერთმანეთს - ისინი, უბრალოდ, მსგავსადც ლაპარაკობენ, უფრო სწორად კი ავტორები ლაპარაკობენ მათზე მსგავსად: "და ასე ამბობდა ზარატუსტრა" ამ სიტყვებით იწყებს ნიცშე მისი ნაწარმოების ყოველ თავს, "და თქვა ამბა ბესარიონმა" - ასე იწყება ბესიკ ხარანაულის ნაწარმოების თითოეული ნაწილიც.

მაგრამ, ზარატუსტრას მიერ ნათქვამსა და პოეტის მიერ ამბა ბესარიონისგან გაგონილს შორის არის განსხვავებაც, თნ არც თუ მცირე: ზარატუსტრა წინასწარმეტყველია, რომელიც ცხოვრების ახალ მოდელს დებს კაცობრიობის წინაშე, ამბა ბესარიონი კი მამხილებელია და რეალობის კონსტატაციას ისახავს მიზნად. ასე, რომ მის ნაუბარში ვერ შეხვდებით აქლემიდან ლომად გადასახვის გზით მომდიმარე ბავშვის მდგომარეობამდე კაცობრიობის მისაღწევ ინსტრუქციას.

ასეთი არა ერთმნიშვნელოვანია ბესიკ ხარანაულის მიერ შექმნილი ამბა ბესარიონი და მის მიერ ნაუბარი, homo imaginans-ის კონტექსტიდან გამომდინარე რომ ვთქვათ, თხზული. რას არ შეხვდებით ამ ნაფიქრალ, გამოთქმულ თუ შეთხზულ აზრებში: ნაგვის მქექელზე ოდას; ინტერესს, როგორც რეპუტაციის ახალ სახელწოდებას; დეადამიანის მომავლის პერსპექტივას სუნიას თუ სურნელთა გაქრობით და საყოველთაო სტერილიზაციის დამკვიდრებით; "ცხრა ნეტარებას" მისამატებელ ნეტარების ახალ კრიტერიუმს ("ნეტარი არის ცრუ, რომელიც სიკვდილის შემდეგ სიწინაულის იწვევს მართლებში"); შექაპირობის ძველი აზრის - რომ ცხოვრება თამაშია - ახლებურ ფორმულირებას ("ჩვენ არ ვიყავით, ჩვენ ვართ, / ჩვენ აღარ ვიქნებით, / თა-

მაში კი მუდამ იყო, არის და იქნება"); ბიბლიური დავითის გოლიათის შეცვლილს მომავლის გოლიათით; ნოეს ან უკვე მოხუცებულ მტრედს, რომელსაც ძველ, უსხოვარ დროინდელ, მაგრამ კარგად დამამასოვრებელ დამსახურებათა გამო მარადიული პენსია დაუმსახურებია ცოცხალ არსთა შორის; და ალუზიებს ეკლესიასტებზე, რომ "არის დრო სიცოცხლისა, / არის დრო სიკვდილისა", რომ "ყველა წინა უკნასკენ თავს რომ მიაბრუნებს, / მაშინ ის წინნანი უკან დარჩება"...

მოკლედ, ბესიკ ხარანაულის შემოქმედებაში თქვენ იპოვნით ყველა მარადიულ აზრსა თუ პარადიგმას და ეს პოვნა ნურავითარ შემთხვევაში ნუ შეგაშინებთ: კაცობრიობის ისტორიაში ხომ არც ისე ბევრი მარადიული აზრია და ჩვენ, უბრალოდ, მათი სხვადასხვა ვარიაციები გვიტოვებს ხოლმე თავის.

მაგრამ ნუ დაგვაწინელება სიგითი შენიღბული ამბა ბესარიონის ძირითადი მისია - სიმართლის მეტყველი შემოღლი ხომ არა მხოლოდ საკაცობრიო სენტენციების კონვეერია, არამედ დროების მამხილებელიც, და ზაზვასითი, როგორც ამას კრებულის ფინალურ ნაწილში ვკითხულობთ, ლიტერატურის მამხილებელიც. 374-ე ლექსში ამბა ბესარიონი ამბობს:

"ღმერთო ჩემო! რა მკედარია ლიტერატურა, ცხოვრებას ის აღარ სჯობია: არათუ წინ უწინრებს, ტყავით ძვრება, რომ არ ჩამორჩეს.

ვერც ერთი პოეტი ხალხს ზემოდან

ველარ დახედავს, ბრბო გადაიღდა და პოეტი ცდილობს თავი მას შეაფაროს".

აქ კი მიაგნო პოეტმა! ოცდამეერთე საუკუნე აღარ არის აღარც დიდი წინასწარმეტყველის და აღარც ოქროს აკვანში ჩასვენებული გმირის მნატვრელი ეპოქა. ოცდამეერთე საუკუნე მხოლოდ დროის წინმსწრები, მკითხველის გემოვნების ამამალებელი, მისთვის საფიქრალის დამტოვებელი ლიტერატურის მნატვრელია. ლიტერატურამ კი, თავის მხრივ, ოდესმაც ახალი გზების გამკვლავ წინასწარმეტყველთა თუ რეალობის გარდამქმნელ გმირთა ფუნქცია დღეს თანაბრად უნდა შეითავსოს.

და ეს შეთავსება გაცოცხლებს მას.

თქვენს პირს შაქარი ამბა ბესარიონს და ბესიკ ხარანაულს, ორივევ ერთად!

ჩვენც ამას, მკედარი ლიტერატურის გაცოცხლებას არ ვვლით?!

წერილი, რომელსაც ჩამოვასწარი

ანა კოძაძია-სამადაშვილი

პატარა საბჭოთა კავშირში, ბრაიტონზე, სადაც ბაბოები მზესუშშირას აკნატუნებენ, სანაპიროზე სპორტულ მარელებში გამოწყობილი მამაკაცები "მეგაპოლისის" კროსგორდებს ავსებენ და პასუხად კითხვაზე, ინგლისური რატომ არ იცით, მოგიგებენ, ჩვენ ამერიკაში არ დავდივართო, ბოსტნეულის გამყიდველი ძველ სიმღერას აბლაუბდა: **Нам стали слышном малы твои третьи джинсы...** ძალიან საეჭქო ამბავია. ნიუ იორკი უსასრულო ქალაქია. მგონი, ამერიკისა არ იყოს, სამყაროს ყველა ქალაქი ნიუ იორკის ანარეკლის წრდილია.

შენ არ გეგონოს, რომ ამის გამო აღარ მასსოვხარ, ძვირფასო. უბრალოდ, სულ სადღაც ვარ, მინდა, ცოტა მაინც გავიცნო ეს ქალაქი – ვმიძიბ, ბევრი არაფერი გამომივა, მაგრამ მაინც.

დღეს კი საძაგელი ამინდია, წვიმს. პერსპექტივაში პერის პილტონის ძაღლის მესახებ გადაცემის ან "სექსი დიდ ქალაქში"-ს ყურება მქონდა, და ამიტომ მაინც გავედი. მიზეზი მოვიგონე - ფეხსაცმელი უნდა ვიყიდო. ვითომ ხვალ აღარ იქნებოდა.

მე რაც მომწონს, სულ უშველებელი ზომია. მე "ბრუკლინიზიც" ძალიან მომწონს, ოღონდ არ მიხდება. მოკლედ, ტყუილად გავილუმე, თან უკანა გზაზე მხარი მეცვალა და ბროდვეიზე მოვხვდი, სადაც ძალიან გავხალისდი და საბოლოოდ დავსველდი.

ეს ქალაქი წვიმაშიც მომწონს. თითქოს მთაში წვიმდეს. საერთოდ, ადამიანების აშენებულს არ ჰგავს, კანიონივითაა. შორიდან რომ ვუყურებ, წარმოვიდგენ ხოლმე, რომ რაღაც კატასტროფა მოხდა და მანქანები ოკეანიდან მაშინ ამოვიდა. მის ფონზე თავისუფლების ქანდაკება ერთი უბადრუკი ძეგლია. პირველად ჟუჟამი რომ გავედი, რომელიღაც საბჭოთა ფილმი გამახსენდა, მწველავი თუ ვილაც უბედური ქალაქში პირველად რომ ჩადის, მაღალი სახლების დანახვაზე თავბრუ რომ ეხვევა და ქაფფენილზე ენარცხება. იმ გოგოსავით მთლად

მაღალი სახლის უნახავი არ გყოფილვარ და ძირსაც არ დავცემულვარ, მაგრამ ნიუ იორკი მართლა ძალიან შთამბეჭდავია. ყოველ დამით სახურავზე ავდივარ ხოლმე. ჯერჯერობით კი გრილია, მაგრამ გაყინვად ნამდვილად ღირს, ქალაქი საოცარი სანახავია, გაცოცხლებული სურათი.

საერთოდ, სულ გაცოცხლებული სურათები და ფილმებია. სადაც კი დავდივარ, ყველაგან ან ფილმი გადაუღიათ, ან წიგნის გმირები ცხოვრობდნენ. მართალია, თუ წინასწარ არ იცო, სად ხარ, იმ ამბებს ვერაფრით დაუკავშირებ, მე ასეთი უწარსულო ქალაქი არ მინახავს, და ეს სრულიად შესანიშნავი შეგრძენება. ახლა "ვესტ საიდის ისტორიის" "ჯოჯოხეთის სამზარეულო" ერთი ბურჟუაზიული უბანია, პარლემში არავინ არაფერს გერჩის, გინდ თეთრი იყავი და გინდ წიწკლებიანი, "ჩაინა თაუნი" ქუჩაში დაყრილი ნაგვის რაოდენობით და საქონლის მდარე ხარისხით გამოირჩევა; ისე, საჭმელი დიდებული იყო. მოკლედ, გახსოვს, ო შენრის ერთი გოგო დაქალს რომ ეუბნება, აღარ მინდა ის კაცი, მე კაცი მეგონა, იმან კი კონი აილენდზე დამპატიჟაო, მეც სულ ასეთი განცდა მაქვს. თუ მაინცდამაინც ბუხარელი ებრაელებით დაინტერესდები, ისევ ბუხარაში ჩადი, უფრო იაფიც დაგიჯდება, და პატარა იტალიასაც დიდი და ნამდვილი აჯობებს. უბრალოდ, სახალისოა, ერთ დღეში ბევრ ქვეყანას რომ მოიეღი, და ხალხიც ძალიან ჭრელია, რაც ძალიან მომწონს. ვერ ვიტან, სულ ერთი ჯიშის ხალხის ყურება რომ მიწვეს ხოლმე.

ერთი ისაა, რომ ვერცერთ ისეთ კულშს ვერ გადავანყადი, სადაც ძალიან გავიხარებდი. დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს, უბრალოდ, მე ვერ მივაგენი. მე ხომ ჯაზი არ მიყვარს, ისე, ფაქტად თუ გამიხარდება, რომ ამ დარბაზში პიტერსონი უკრავდა. სიმართლე რომ გითხრა, ისიც და კლარკ ტერიც მკედრები მეგონენ, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ "ბლუ ნოუთს" მიჩოჩებულან და, როგორც ამბობენ, მაგრადაც დაუკრავთ. სამწუხაროდ, ამ კუთხით დიდად ვერ გავიხარე და მე რომ მკითხო, მხო-



ნიუ იორკი

ლოდ ჯაზის ნიადაგზე შექანებულ თუ გაიხარებს: დარბაზში მოწევა არ შეიძლება, სასმელი ძვირია, და თუ მუსიკაც არ მოგწონს, რაღა... ჰო, ცოტა სნობური ამბავიცაა: "წუხელ აქა და აქ ვიყავი", მაგრამ მე ასეთების ასაკი გამივიდა, არც ბროდვეის მიუზიკლების ფანი ვარ, მეტსაც მოგახსენებ – მეჯავრება. ამიტომ იქ ვცდილობ მოხვედრას, სადაც ბევრს ვიცეკვებ და ვიტხუწავებ მაინც. ასეთ ადგილებში აფროამერიკელთა სიხარულის საგანი ვხდები (მაინც ვერ გავიგე, რატომაა "ზანგი" შეურაცხმყოფელი სიტყვა), და მათთან ურთიერთობა მეც ძალიან მსიამოვნებს. საერთოდ, ჩემგან დამიხსოვრე: მამაკაცი ახალგაზრდა და შავკანიანი უნდა იყოს.

დღისით კულტურულ ცხოვრებას ვწევი - იმ დღეების ვერა, როცა დღევანდელით ველურად წვიმს. რადგან მეტრო ძალიან საძაგელია, ფეხით უზარმაზარ მანძილებს ვფარავ. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მეტროით მომიწია წასვლა, მეტისმეტად შორია, დროებით სხვა უბანშია გადატანილი, და მეორედაც კი გზის გაგნებაში მთელი სადგური მყავდა ჩართული. აღმოვაჩინე, რომ მაღალ ხელოვნებასაც ყელში ამოსვლა სოფენია – პირველ დღეს მეტროპოლიტენიდან გაცოცხლებული გამოვედი, ახლა კი მომბეზრდასავით. ამდენი შედეგრი მერვე ნაჭერტორტივითაა. მაგრამ მუზეუმებში მაგარ ხეირს გადავანყადი: სასწავლებლიდან მოსწავლეები მოჰყავთ ხოლმე, მეც იმათთან ვვდები და ათასგვარ საინტერესო ამბავს ვიწმენ.

P.S. ვიყავი იმ სახლთან, სადაც ლენონი მოკლეს. გაზის ფარნები ენით და უზარმაზარი ჭიშკარი დამხვდა. იქაურობას ვერასოდეს ვიცნობდი, არადა, რამდენი ფოტო მინახავს. მერე კარისკაცი გამოვიდა, შემოგვხვდა, ვითარცა ტილებს და კუმტად მოგვიგდო, კი, ნამდვილად ის სახლიაო. ეს იყო დე.

P.P.S. ვერ გეტყვი, სად მიდინი იხები ზამთარში, მაგრამ პარკში ახლაც დიდად ვერ ხარობენ: ტბორში იმდენი წავია, შიგ მსხლმინი ნიშბებს ერთმანეთს უბრაგუნებენ.

"რეალს" ხოსე ანტონიო კამარო განვრთნის

მადრიდის "რეალმა" იფიქრა, იფიქრა და მთავარ მწვრთნელად ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამარო მიიწვია. ამის შესახებ ინფორმაცია "რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა გაავრცელა.

ამრიგად, პორტუგალიელმა სპეციალისტმა კარლოს კეირუმმა "სამეფო კლუბთან" მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაში იმუშავა. როგორც ფლორენტინო პერესმა აღნიშნა, კეირუმს მშვიდობიანად დაშორდნენ და ეს საკითხი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გადაწყდა.

მარმანდელ სეზონში "რეალმა" მთავარი მწვრთნელის პოსტზე კარლოს კეირუმში მიიწვია. პორტუგალიელმა შეცვალა ვისენტე დელ ბოსკე, რომელმაც "სამეფო კლუბთან" სამწლიანდანიხვედრი იმუშავა და ამ ხნის განმავლობაში ორ-ორჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა.

2003-2004 წლების სეზონი კი კარლოს კეირუმის ხელმძღვანელობით მადრიდის "რეალისთვის" უიღბლო

გამოდგა. გუნდმა ვერც ერთი ტიტული ვერ მოიპოვა და სეზონი აშკარად ჩააგდო. მომავალი წლიდან "რეალი" ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას საკვალიფიკაციო რაუნდიდან დაიწყებს. "სამეფო კლუბი" ჯერ კიდევ მარტის სათავეში ედგა ეროვნულ ჩემპიონატს, მაგრამ შემდეგ უპირატესობა გაუვლანგა და საბოლოო ჯამში პრიზორებს მიღმა აღმოჩნდა. "რეალმა" წინ გაუშვა "ვალენსია", რომელიც გახდა კიდევ ესპანეთის ჩემპიონი. ჩემპიონატის ფინალზე კი "რეალმა" საერთოდ გააოცა თავისი გულშემატკივარი და ზედიზედ ხუთი მატჩი წააგო.

ჩემპიონთა ლიგაში კარლოს კეირუმის მიერ დამოძღვრულებმა მეოთხედფინალში ნაიბორძიკეს, როცა ისინი მოულოდნელად საფრანგეთის "მონაკომ" დაამარცხა. სამეფო თასის ფინალში კი "რეალმა" "სარაგოსას" დაუთმო გამარჯვება.

რაც შეეხება ხოსე ანტონიო კამაროს, მან "რეალის" შემადგენლობაში 1970-1980-იან წლებში 500-ზე მეტი მატჩი ჩაატარა.

ფინალურ მატჩზე ანგარიშს მოველით

დიმიტრი რამიშვილი სიურპრიზებს არ გვიმხელს

აკა ტონია

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა. უკვე ტრადიციად იქცა, რომ საქართველოს თასის ფინალი სწორედ ამ დღეს იმართება. ეს ტრადიცია არც წლეულს შეიცვლება. თუმცა, წინა წლებთან შედარებით, ხვალინდელი მატჩი, მართლაც, განსხვავებული იქნება. ეს არის პირველი ფინალი, რომელსაც ერთი წლის წინ დაარსებული საქართველოს პროფესიული ლიგა ჩაატარებს.

სპონსორების მოზიდვა, ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაცია და, რაც მთავარია, მატჩებზე გულშემატკივრის დაბრუნება - ეს არის პროფესიული ლიგის მთავარი ამოცანები. ამ ერთი წლის განმავლობაში ამ მიზნების მისაღწევად ბევრი რამ გაკეთდა და, შედეგად, წლევიანდელ 26 მაისის სრულიად განსხვავებული ფინალის მომსწრენი გავხდებით.

ხვალინდელი მატჩისთვის მზადება რამდენიმე თვის წინათ დაიწყო. პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობა გეგმავდა, რომ საქართველოს თასის წლევიანდელი ფინალი ნაირ-ნაირი სიურპრიზებით იქნებოდა აღსავსე და ეს პირობა ნამდვილად შესრულდება. მატჩზე დასწრება უფასოა, ყველა ხარჯს ლიგის გენერალური სპონსორი "კოკა-კოლა" და დანარჩენი სპონსორები გაიღებენ. ამას გარდა, სპონსორებმა უამრავი საჩუქარი მოუზამეს ქომაგებს. დაგეგმილია სიურპრიზები, რომელთა წინასწარ გახელვა ლიგის პრეზიდენტს, დიმიტრი რამიშვილს არ სურს: "რომ გაუგამხლოთ, რაღა სიურპრიზი იქნება".

მთავარი სიურპრიზი კი, ალბათ, გულშემატკივართა რაოდენობა უნდა გახდეს. წინა წლებში საქართველოს თასის ფინალს დაახლოებით 4-5 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა, ხვალინდელ მატჩზე კი ლიგის ხელმძღვანელობა ანშლავს მოულის.

გუშინ საქართველოს პროფესიული ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილს ვესტბურთი და ხვალინდელი მატჩის შესახებ ვესაუბრეთ.

მატჩზე დასწრება უფასოა

"მე და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ბატონმა მერბ ჟორდანიამ გადაწყვიტეს, რომ მატჩზე დასწრება უფასო ყოფილიყო. ამის საფუძვლას კი პროფესიული ლიგის სპონსორები და გენერალური სპონსორი "კოკა-კო-



რამიშვილი ხვალ სავსე სტადიონს ელის

ლა" გააძლევენ. სწორედ ჩვენი სპონსორი კომპანები დაფარავენ ყველა იმ ხარჯს, რომელიც ამ მატჩის ორგანიზებას ახლავს თან. ქომაგებს ჩვენ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მივეცით პირობა, რომ თასის ფინალზე ბევრ სიურპრიზს შევთავაზებდით და ეს პირობა აუცილებლად შესრულდება. სიურპრიზი რისი სიურპრიზია, წინასწარ თუ გაამხილე, მაგრამ გეტყვით, რომ ჩვენმა სპონსორებმა სხვადასხვა სახის საჩუქრები მოუზადეს გულშემატკივარს. განსაკუთრებით სასიამოვნო სიურპრიზები კი ბავშვებს ელთა. სტადიონი საქართველოს ახალი სახელმწიფო დროშებზე იქნება მოფენილი. პირველად აქედნდება ახალი ჰიმნი. გამარჯვებულს კი ბევრად უფრო პომპეზურად დაეჯილდოებთ, ვიდრე ეს წინა წლებში ხდებოდა. ფოიერერკს მატჩის შემდეგ იხილავთ. წინასწარ მეტს არაფერს გეტყვით, დანარჩენი სასიამოვნო მოულოდნელობად დარჩეს".

„ლოკომოტივზე“ ანშლავს ელიან
"პროფესიული ლიგის უპირველესი ამოცანა სტადიონებზე გულშემატკივრის დაბრუნებაა. ამ განხრით წინ ბევრი სამუშაო გვაქვს, თუმცა, ზედმეტი თვითკმაყოფილების გარეშე მინდა ვთქვა, რომ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე მაყურებელმა, მართლაც, იმატა. ქალაქებსა და რაიონებში სტადიონები ივსება. შედარებით პრობლემური იყო თბილისი, თუმცა, უკანასკნელ ხანს დედაქალაქშიც იმატა ჩემპიონატისადმი ინტერესმა. ახლა მთავარია, ეს ტენდენცია არ შეჩერდეს და მზარდი იყოს. საქართველოს თასის ფინალურ მატჩებზე წინა წლებში ძალიან ცუდი დასწრება იყო. თამაშებზე ოთხი-ხუთი ათასი კაცი თუ შეგროვდებოდა. ხვალინდელ ფინალზე კი, ჩვენი პროგნოზით, ანშლავს იქნება. საამისოდ

მაღალი რანგის სტუმრები
"მოსაწვევები საქართველოს მთავრობის წევრებს გავუგზავნეთ. დარწმუნებით იმის თქმა, მოვლენ თუ არა ისინი მატჩზე, არ შემიძლია, მაგრამ ვიცი, რომ დიდი სურვილი აქვთ.

TV-სპორტი

სამშაბათი. 25 მაისი

HTB+ФУТБОЛ
07:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
08:00 NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1997. დასაღულით კომფერენტის ფინალი. "HOUSTON ROCKETS" - "UTAH JAZZ". მე-6 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საფეხბურთო უიკენდი
13:45 "დარტყმა გოლისთვის"
14:00 განვლული კვირის პიტ-აღლუმი - ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" - "რეალ სოსიდადი"
15:45 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:40 თავისუფალი დარტყმა
16:55 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:55 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:55 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
19:25 ლიბერტადორების თასი. მატჩების მიმოხილვა
20:55 ფუტბალი. რუსეთის ჩემპიონატი. მე-8 ტურის მიმოხილვა
20:55 თავისუფალი დარტყმა
21:10 სახვალთ ტელეპროგრამა
21:15 იტალიის ჩემპიონატი. შედეგები
22:15 "ვალერი ლობანოვსკის მე-მორიალი". წერილმანები
22:45 ინგლისის ჩემპიონატი. შედეგები
23:45 თავისუფალი დარტყმა
00:00 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "დებორტივი" - "პორტუ". საპასუხო მატჩი
01:55 ლიბერტადორების თასი. მატჩების მიმოხილვა
02:25 02:25-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ლარი ბერდი
05:30 NBA TV. დღიური
06:00 NBA TV. დასაღულით კონფერენციის ფინალი. "LOS ANGELES LAKERS" - "MINNESOTA TIMBERWOLVES". მე-3 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

HTB+СПОРТ
11:00, 14:00, 17:00, 20:00 პრესცენტრი
11:20, 22:15 "ოლიმპის შეილები"
11:25, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"

EUROSPORT

11:30 მულტისპორტი
12:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის საათი
12:30 ფეხბურთი. ევროპულანეტა
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ლია ჩემპიონატის ლეგენდები
14:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ლია ჩემპიონატი
17:30 ველორობოლა. იტალიის ტური
20:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ლია ჩემპიონატი
00:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ლია ჩემპიონატი
01:00 კრიგი. საერთაშორისო შეჯიბრება
02:30 ახალი ამბები
02:45 ნასკარის ავტობოლები. Nextel-ის თასი
03:45 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
04:15 ახალი ამბები

საინფორმაციო მხარდაჭერა: გაზეთი "24 საათი"

საერთაშორისო ფეხბურთის

ფეხბურთი

დაპირი ყიფიანის

თასის ფინალი

ლინაოი თბილისი

თი

სპ

მორეალი ქუთაისი

26 მაისი. ლოკომოტივის სტადიონი. დასაწყისი 20:00

პროფესიული ფეხბურთის ლიგა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გვპატივებენ ფინალურ მატჩზე. მომხმარებელი, მისამართი ფეხბურთით, თქვენ გელოთ სიურპრიზები ლიგის გენერალური სპონსორისაგან და ასევე პროდიუგის და ხეყვის პარტნიორებისაგან

დასწრება უფასოა

გერმანიის ნაკრების მწვრთნელ-მარულ ფილერმა დასასხელა იმ 22 ფეხბურთელის ვინაობა, ვინც პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. კიდევ ერთი ფეხბურთელის გვარი 2 ივნისამდე გამოცხადდება, ანუ ფილერმა ნაკრებში ერთი ვაკანსია მაინც დატოვა.

გერმანიის საფეხბურთო სამყარო ფილერმა დიდად არ განაცვიფრა. რუმინეთის ნაკრებთან აპრილის ამხანაგური მატჩის შემდეგ, რომელიც გერმანელებმა სამარცხვინოდ - 1:5 წააგეს, ფილერი გულშემატკივარს დაჰპირდა, რომ ზოგიერთი, ასე ვთქვათ, გულგრილი ფეხბურთელის მიმართ რადიკალურ ზომებს მიმართავს, მაგრამ პორტუგალიაში სწორედ ის ფეხბურთელები გავმგზავრებთან, ვინც მწვრთნელთან ერთად შესარჩევ ციკლსა და ბოლოდროინდელ ამხანაგურ მატჩებში იმუშავა. კამათი მხოლოდ მესამე მეკარის პოზიციამ გამოიწვია. საბოლოოდ ფილერის არჩევანი შეჩერდა "შტუტგარტის" ახალგაზრდა მეკარეზე ტიმო ჰილდებრანდზე, რომელმაც შესანიშნავად ჩაატარა სეზონი და, სპეციალისტთა აზრით, ოლივერ კანსა და იენს ლემანს მხოლოდ გამოცდილებით თუ ჩამორჩება. პრიციპში, გერმანიის ნაკრებში მემკვიდრეობითობა ყოველთვის არსებობდა. ოლივერ კანი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე სათაღრიგოთა სკამზე იჯდა მაშინ, როცა ნაკრების კარს ანდრეას კეპკე ან ბოლო ილგენერი იცავდნენ.

არჩევანის დროს ფილერის მთავარი მოულოდნელობა იყო "ჰანოვერის" 29 წლის ფორვარდის ტომას ბრდარიჩის მინევეა, რომელიც ლევერკუზენის "ბაიერში" გამოცდილი არის ცნობილი (ამ სეზონში ბრდარიჩის ანგარიშზე 12 გოლია). არადა, ფილერმა სულაც არ ანეხერებდა ბრდარიჩს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებით. არც ამხანაგურ შეხვედრებში ანდობდა გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი 29 წლის ფეხბურთელს ადგილს. შესარჩევ ციკლზე კი ლაპარაკი ზედმეტია. თუმცა, კვალიფიციური ფორვარდების დეფიციტის ფონზე ფილერმა ბრდარიჩიც გაიხსენა. მართლაც, "ჰანოვერის" ფორვარდს კონკრეტულების სახით ეყოლება ვეიტერანი ფრედი ბობიჩი, კეივი კოზანი და მირიკო ავ კლოზი, რომელმაც არცთუ ისე შიამბეღდავი სეზონი ჩაატარა. ამასთან, საინტერესოა, რომ ფილერმა ბრდარიჩი ამჟამინა ვეტე-



რუდი ფილერმა შემადგენლობა დაასახელა

ფილერის რჩეულთა სია ასა გამოიყურება:
მეკარეები: ოლივერ კანი (ბაიერი), იენს ლემანი (არსენალი), ტიმო ჰილდებრანდი (შტუტგარტი).
დაცვა: ფრანკ ბაუმანი (ვერდერი), არნე ფრიდრიხი (ჰერტა), ანდრეას ჰინკელი, ფილიპ ლამი (ორივე შტუტგარტი), იენს ნოვოტნი (ბაიერი), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი), კრისტიან რანი (ჰამბურგი).
ნახევარდაცვა: მიხაელ ბალაკი, იენს იერემისი (ორივე ბაიერი), ფაბიან ერნსტი (ვერდერი). პაულ ფრაიერი (ბოხუმი), ტორსტენ ფრინგისი, სებასტიან კელი (ორივე დორტმუნდი), დიტმარ ჰამანი (ლივერპული), ბერნდ შნაიდერი (ბაიერი).
თავდასხმა: ფრედი ბობიჩი (ჰერტა), ტომას ბრდარიჩი (ჰანოვერი 96), კეივი კოზანი (შტუტგარტი), მიროსლავ კლოზე (კაიზერსლაუტერნი).

რან მარტინ მაქსს, რომელმაც წლეულს ამ ფორვარდებს შორის ყველაზე მეტი, 20 გოლი გაიტანა. ევრო 2004-ზე გერმანიის ნაკრები ყველაზე ახალგაზრდა იქნება. ფილერის სიაში შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ვეტერანი გამოეყოთ - იგივე ნოვოტნი, ჰამანი ან ვიორნსი, მაგრამ ისინი სულაც არ მოგვაკნენებ მათეუსს, მიოლერს ან ჰესლერს, რომლებმაც მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ტურნირებზე თითქმის 40 წლამდე ითამაშეს. მოკლედ, დამთავრდა დრო, როცა გერმანიის ნაკრების 25 წლის ფეხბურთელი ახალგაზრდა მიჩინოდა, რადგან მასზე უმცროსი გუნდში არ თამაშობდა. დასამალი არ არის, რომ გერმანელი გულშემატკივარი ფილერის-

დიდი სამუშაო გავწიეთ. მხოლოდ ქუთაისიდან გულშემატკივრებით სავსე რამდენიმე ათეულ ავტობუსს ველოთ. სერიოზულად ემზადებიან "დინამოს" ფან-კლუბის წევრებიც. დამატებულია უამრავი სტუმარი, მათ შორის უცხოეთიდან. მატჩი საღამოს რვა საათზე დაგინშნეთ, რადგან ამ დროს მაქსიმალური რაოდენობა შეძლებს მატჩზე დასწრებას. ის, ვინც სტადიონზე ვერ მოვა, მატჩს ტელევიზიით ნახავს. ფინალურ მატჩს პირდაპირ ეთერში აჩვენებს ჩვენი პარტნიორი, ტელე-კომპანია "იმედი".

ჩვენ დაგვგმოდ ლონისძიებებზე ვისაუბრეთ და არაფერი გვითქვამს მატჩის სპორტულ მხარეზე. თბილისის "დინამო" და ქუთაისის "ტორპედო" ტრადიციული მეტოქეები არიან. ამ კლუბების შეხვედრა მუდამ პრინციპულია. საქართველოს ჩემპიონობის მასინ ორივე გუნდმა დაკარგა და საქართველოს თასი მათი ერთადერთი შანსია ამ სეზონში. ორივე გუნდი სერიოზულად ემზადება და, დარწმუნებული ვარ, ძალიან საინტერესო შეხვედრის მომსწრენი გავხდებით".

მიმდინარე კვირა გარდამტეხი იქნება ქართული ფეხბურთისთვის

"მიმდინარე კვირაში ქართველი გულშემატკივარი განებივრებული იქნება ფეხბურთით. ხვალ თასის ფინალია, ზეგ ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების მატჩებია ისრაელის წინააღმდეგ. სავარაუდოდ, 30 მაისის კი გაიმართება ევრეთ ნოდებულის "ოქროს მატჩი", რომელშიც "ვიტ ჯორჯია" და "სიონი" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს და საქართველოს ჩემპიონის ვინაობას გაარკვევენ. უკანასკნელ ხანს იმდენი რამ მოხდა საქართველოში, ხალხი იმდენად ოპტიმისტურად არის განწყობილი... დადებით ძვრებს ფეხბურთშიც ვვლთ. ნაკრების სათავეში მოვიდა ახალი მწვრთნელი, რომელიც ახალი დროშისა და ჰიმნის ქვეშ ნანატრი წარმატებების მიღწევას შეეცდება. მე-რამ ჟორდანიას სურს, რომ მომავალი წარმატებების ათვლის წერტილი სწორედ ამ კვირაში დაიწყოს. ამის გამო გადაწყვიტეთ, რომ უფასო ყოფილიყო დასწრება როგორც თასის ფინალურ მატჩზე, ისე ისრაელის წინააღმდეგ ეროვნული ნაკრების შეხვედრაზე. დარწმუნებული ვარ, ამიერიდან, მართლაც, აღმაგლობის გზას დაეადგებით".

როგბართი

საფრანგეთის ღია ჩემპიონატი დანიყო

ორშაბათს პარიზის "როლან გაროსის" კორტებზე სტარტი აიღო საფრანგეთის რიგით 114-ე ღია ჩემპიონატმა ჩოგბურთში. ეს "დიდი სლემის" მეორე ტურნირია სეზონში. პირველის - ავსტრალიის ღია ჩემპიონატის გამარჯვებული ვაჟთა თანრიგში მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი როჟე ფედერერი გახდა, ხოლო ქალეშში საუკეთესო იყო დაუცხრო-მელი ბელგიელი ჟუსტინ ენინ-არდენი.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრალიის ღია ჩემპიონატი "პარდზე" იმართება, საფრანგეთის ჩემპიონატი კი - "გრუნტზე". ამ ორ საფარს შორის სრულიად განსხვავებული სპეციფიკაა. აქ ფავორიტები იქნებიან არა სწრაფი, არამედ მეტისმეტად გამძლე, ამტანი ჩოგბურთელები, ისეთები, როგორიც იყო ამერიკელი მაიკლ ჩანგი, რომელმაც 1989 წელს თითქმის კონფედერაციის ზღვარზე გაიმარჯვა. ანდა, იგივე "მშრომელი ეკვალორელი" ანდერს გომესი, რომელმაც "როლან გაროსის" კორტები ერთი წლის შემდეგ, 1990 წელს დალაქრა.

შარმა კი საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ვაჟთა თანრიგში ესპანელმა ხუან კარლოს ფერერომ, ხოლო ქალთა თანრიგი დაუმარცხებელმა ბელგიელმა ჟუსტინ ენინ-არდენმა მოიგო. უნივერსალურ ბელგიელთან დაკავშირებით ყველაფერი მეტ-ნაკლებად გასაგებია. ენინი გამარჯვების უმთავრესი ფაქტორიტაა. პლანეტის უძლიერესი ჩოგანი პროგნოზების მიხედვით ახლაც ფავორიტია. მით უფრო, რომ, როგორც თვითონ აცხადებს, შესანიშნავ ფორმაშია.

რაც შეეხება მამაკაცებს, აქ ტურნირის უმთავრესი ფაქტორიტები კვლავ ესპანელები იქნებიან, რომლებიც გრუნტზე ტრადიციულად უძლიერესები არიან. 2003 წელს, ხუან კარლოს ფერეროს გამარჯვებამდე ერთი წლით ადრე, საფრანგეთის ღია ჩემპიონატი მისმა თანამემამულემ ალბერტ კოსტამ მოიგო, ხოლო 1990-იან წლებში ამ ქვეყნის უმთავრესი პრიზი ასევე ესპანელებმა კარლოს მოიამ და სერხი ბრუგერამ წაიღეს შინ.

ესპანელთა გარდა, პარიზში სამეზოს ტრიუმფი იზვიდა ბრაზილიელმა გუსტაო კუერტენმა, რომელიც შეიძლება ლათინოამერიკული საჩოგბურთო სკოლის "წელ" წარმომადგენლად მივიჩნიოთ.

რაც შეეხება ჩვენს თანამემამულეებს, სამწუხაროდ, პარიზში მხოლოდ ერთი ქართველი - ირაკული ლაბაძე ითამაშებს. მას "დიდი სლემის" ტურნირებზე თამაშის დიდი გამოცდილება აქვს. ერთხელ ის უიმბლდონის ახალგაზრდული ტურნირის ფინალშიც გასულა, სადაც ამაჟამად მსოფლიოს პირველ ჩოგანთან, როჟე ფედერერთან დამარცხდა, მაგრამ ამგვარ ტურნირებზე თამაშის სკოლა ქართველ ჩოგბურთელს წამდვილად არ დაეწუნება.



ახლა ირაკლი ძალიან კარგ ფორმაშია და წამდვილად მესწევს იმის ძალა, რომ შვედი ჯოაკიმ იუჰანსონი დაამარცხოს. იუჰანსონი პროფესიულ ჩოგბურთში 2000 წლიდან ჩაერთო. მან ავსტრალიის ღია პირველობის წლეგანდელ გათამაშებაში მესამე წრემდე მიაღწია. სულ კარიერის განმავლობაში იუჰანსონს ATP-ის სამი ტურნირი აქვს მოგებული და სპორტული კარიერის განმავლობაში 355,457 ათასი ამერიკული დოლარი აქვს გამოშუშავებული.

რაკი ფულზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ საპრიზო ფონდზეც ვთქვათ. ვაჟთა თანრიგში გამარჯვებული 1 043 610 ამერიკულ დოლარს მიიღებს, ხოლო ტრიუმფატორი ქალბატონი საკუთარ ბიუჯეტს 1 017 520 დოლარით შეავსებს. ტურნირის საერთო საპრიზო ფონდი კი 13 263 280 დოლარს შეადგენს.

აქვე გაგაცნობთ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალ რეიტინგს:

ვაჟები:	
როჟე ფედერერი (შვეიცარია)	5540
ენდი როდიკი (აშშ)	4665
გილიერმო კორია (არგენტინა)	3490
ხუან კარლოს ფერერი (ესპანეთი)	3475
კარლოს მოია (ესპანეთი)	2460
ანდრე აგასი (აშშ)	2395
რაინერ შუტლერი (გერმანია)	2370
დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	2210
ტიმ პენმანი (ბრიტანეთი)	2170
სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი)	1665

ქალები:	
ჟუსტინ ენინი (ბელგია)	6913
კიმ კლისტერსი (ბელგია)	5686
ამელი მორესბი (საფრანგეთი)	3484
ლინდსი დევენპორტი (აშშ)	3132
ანასტასია მისკინა (რუსეთი)	2824
ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	2519
სერენა უილიამსი (აშშ)	2351
ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი)	2348
ერნეს ულიამსი (აშშ)	2268
ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2236



მოკლედ

უღია გადადგა



ქერარ ულიე პენსიაზე გაუმეცს

ინგლისის "ლივერპულმა" მთავარი მწვრთნელის ჟერარ ულიეს გათავისუფლების შესახებ გამოაცხადა. ულიეს გადადგომა გამოიწვია იმან, რომ წლე-ვანდელ სეზონში გუნდმა ოქროს მედელებისთვის ვერ იბრძოლა. "ლივერპული" მეოთხე ადგილზე გავიდა, რაც კლუბს უფლებას აძლევს, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩაერთოს. თუმცა, კლუბმა ვერ აწევნა ის თამაში, რომელსაც ხელმძღვანელობა ელოდა. შედეგად, გუნდის ლიდერმა მაიკლ ოუენმა სეზონის განმავლობაში არაერთხელ აღნიშნა, რომ "ლივერპულში" მისი დარჩენის პერსპექტივა თანდათან მცირდება.

გასულ კვირას თვითონ ულიე დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ "ლივერპულში" კიდევ ერთი წლით დარჩებოდა. ვარაუდობენ, რომ მერსისაიდული კლუბი ახალ მწვრთნელს სწრაფად მო-

ძებნის და მოერიდება ისეთ პოპულურ ძიებებს, როგორიც ლონდონის "ჩელსიში" მიმდინარეობს. "ლივერპულის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ყველაზე უფრო სავარაუდო კანდიდატურა ესპანეთის "ვალენსიას" მწვრთნელი რაფელ ბენიტესი და ლონდონის "ჩარლტონის" თავაყი აღან კერზიშია. თუმცა, კვირას ბენიტესის აგენტმა BBC-ის გაანდო, რომ მის კლიენტზე "ლივერპულის" წარმომადგენლები ჯერ არ გასულან.

ულიე "ლივერპულში" 1998 წელს გამოჩნდა და გარკვეული დროის შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტზე რიი ევენსი შეცვალა. 2001 წელს მან კლუბს ინგლისის თასი, უეფას თასი და ინგლისის ლიგის თასი მოაგებინა. ლიგის თასი კლუბმა 2003 წელსაც მოიგო. ფინალში "ლივერპულმა" "მანჩესტერ იუნაიტედს" - 2:0 დაამარცხა.

გახსენება

მეტრის გარეშე



გიზა გარასაშვილი

რა ფასი აქვს ტიტულებს, თუ კაცობაში არ ხარ სანიშნო. ჩვენს შემთხვევაში თეიმურაზ მატიაშვილს ტიტულებიც საკმაოდ ჰქონდა და კაცობაშიც სამართლიან ბრძანდებოდა. სამწუხაროა, მაგრამ დღეს თეიმურაზ მატიაშვილს წარსული დროში გვინეცს საუბარი. სპორტულმა სამყარომ, სამეცნიერო და ოჯახმა შაბათს თბილისის მინას მიაბარა სასტიკი სროლის მეტრი. ზედის ორთონი იყო თუ რა, თეიმურაზ მატიაშვილს ავსტრიიდან, სადაც იგი საკუთარ შვიკრდებთან შეჯიბრებაზე იყო, თბილისში საკუთარი დაბადების დღეს ჩამოსაყენეს. 18 მაისს თეიმურაზ მატიაშვილს 55 წელი შეუსრულდებოდა. 12 წლის წლის განმავლობაში თეიმურაზ მატიაშვილს საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი გახლდათ და უფრო დიდხანს - საქართველოს ნაკრებისა. მრავალჯერ ჩემპიონს, თასის მფლობელს, სპორტაკადის გამარჯვებულსა და რეკორდსმენს მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლი, ევროპის თასის ოქროსა და ვერცხლის მედლებიც ჰქონდა მოპოვებული. ეს ისე, ზოგადად, გაცილებით მეტ წარმატებას მატიაშვილს მხოველი ნაბიჯები საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელის რანგში გადადგა. მალე საქართველოს ნაკრებაზეც ჩაუდგა სათავეში. მერე კი თავისი გამოცდილება ისეთი ქვეყნების სამხაზურში ჩააყენა, სადაც სასტიკი სროლაში წარმატებებით ვერ დაიკვნენდენ - სირია, კვიპროსი, კუვეიტი, ინდონეზია... ბოლოს საბერძნეთი. სადაც მივიდა, ყველგან საკუთარი სიტყვა თქვა. მისი ექვსი მონაწილე ოლიმპიურ თამაშებზე გამოვიდა. რაც შეეხება შედეგებს, ამ მხრივ მატიაშვილს შეგირდთა მიღწევები, მართლაც, საარაკოა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების, მსოფლიო თამაშის, თანამეგობრობის, აზიისა და არაბეთის თამაშების, ევროპის ჯუჯა სახელმწიფოთა თამაშებისა და რიგი სხვა საერთაშორისო დონის ასპარეზობათა გამარჯვებული იქნა. აქედან ნასვლა კი მუდგებები მიღწეულ იქნა იმ ქვეყნებში,

"თბილისში დაბადებული და გაზრდილი იყო, აქაურობა უყვარდა. აქ, თავის სამეგობროსთან ერთად ყოფნა ენატრებოდა, - ისვენებს მეგობარი და კოლეგა თამაზ იზნაიშვილი. - უნდოდა, საქართველოში ყოფილიყო ერთი სასროლეთი, რომ თავისი ცოდნა სამშობლოსთვის მოეხმარებინა. გაუსაძლისი პირობების გამო წავიდა აქედან. სულ ამბობდა, სხვებს ვასწავლი და რაგონ არ უნდა შემეძლოს, ჩემი ცოდნა ჩემს ხალხს მოეხმარო".

...ენატრებოდა საქართველო. მუდამ იმაზე წუხდა, რომ აქ ყოფნის საშუალება არ ჰქონდა. ზოლო სამ წელიწადს საბერძნეთის ნაკრებს წვრილია, მაგრამ სულთი და გულთი მუდამ აქ ყოფილა. პირველი შესაძლებლობისთანავე თბილისში მორბოდა. აქედან ნასვლა კი ძალზე უჭირდა...

მაკობრა მაკობრის წინააღმდეგ

ცხვრის ტყავში გახვეული მგლები ხროვას შეესივნენ

პერა ნაზარაძე

შეცდომებზე უარის თქმის და ახალი ცხოვრების დაწყების უფლება ყველას აქვს - როგორც იტყვიან, არასდროს არ არის გვიან; მაშინაც კი, თუკი ბიზნესს მეკობრეობით ააწყობ, მეერ ერთ მშვენიერ დღეს აღარ მოგეწონება საკუთარი პოზა და პიკველი დაიწყებ ბრძოლას მეკობრეების გადასამწებლად...

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია. ეს გაცილებით მაღალ დონეზე ხდება, ვიდრე საქართველოში მოინდომეს. ევროკავშირში გაერთიანების მსურველთათვის პირდაპირ არის მითითებული გარკვეული პირობების შესრულება "საავტორო უფლებებთან" დაკავშირებით; მსხვილი ამერიკული კომპანიების ინტერესებს შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ხელმძღვანელები სხვადასხვა ოფიციალურ შეხვედრაზე იცავენ (ორიოდე თვის წინათ ამერიკამ სამკაოდ მკაცრად მოსთხოვა პასუხი რუსეთს არნახული მასშტაბების მეკობრული გზით დამზადებული აუდიო-ვიდეო პროდუქციის გამო). მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მსოფლიო, თითქმის, უძღურია ისეთი პრობლემის წინაშე, როგორც ინტელექტუალური საკუთრების უფლებებზე.

საქართველოში კი რა ხდება - მგონი, ჯობს, საერთოდ არ გამოვიყენოთ მიღებული ტერმინი - უფლებების დარღვევა, რადგან თუკი უფლებებზე მიდგება საქმე, ხანდახან (განსაკუთრებით სამარბრუტო ტაქსში, სადაც, უბრალოდ, უძღური ხარ) ზოგიერთი ქართული სიმღერის მოსმენა ისე არღვევს პირადად ჩემს უფლებებს, რომ... ყოველ შემთხვევაში - იმაზე მეტად მაინც, ვიდრე ამ მომღერლების უფლებები ირღვევა მათივე ჩანაწერების არალიცენზირებული გავრცელებისას. სხვა თუ არაფერი, ეს მათსავე პოპულარობას მაინც უწყობს ხელს, მე კი, გერაფრით ვიხიერე ამ ჩანაწერების "ძალადობრივად" მოსმენით. ერთი სიტყვით, ჩვენი მომღერლები უმრავლესობა საკუთარ პოპულარობას ნამდვილად ბაზრობებზე არალიცენზირებული ჩანაწერებიდან აუღდრებულ საკუთარ სიმღერებს უნდა უმადლოდეს, თორემ, როგორ წარმოუდგენიათ, ოდესმე იყიდნენ იქ მომუშავე ადამიანები პოლოგრაფიან აუდიოკასეტებს? მაგრამ, ახლა საქმე სხვაგვარადაა. ამ ადამიანებს უკვე ჰყავთ საკუთარი პროდიუსერები, რომლებიც, ასე თუ ისე, ზარალდებიან, როდესაც ამ მომღერლებისგან მიღებული შემოსავლის გაზიარება უნებლიეთ მეკობრეებთან უწევთ.

ორი აზრი არ არსებობს - ინტელექტუალურ საკუთრებას დაცვა უნდა. სწორედ ამიტომაც არსებობენ შესაბამისი სამსახურები. მაგრამ, უბრალოდ, სასაცილოა (რბილი ნათქვამია, ვხვდები), როდესაც ამაზე ყველაზე ბევრს ყვირიან ისინი, ვინც ბიზნესი სწორედ მეკობრეობით ააწყო და, სასაცილოა მათი მხრიდანაც, რომელთა "შემოქმედება" სწორედ სხვათა ინტელექტუალური საკუთრების ექსპლუატაცია და სხვა არაფერი (მგონი, ასეთი მომღერალიც ბევრი გვგვლდება საქართველო-



ბრძოლა საავტორო უფლებების დასაცავად



ქართული პოპ-მუსიკის ელიტა

ში). მე შენ გეტყვი, ღონ რაიმის უჩივლებით თუ "ა სტუდია"? (ის მაინც შეარჩიონ კარგად, რომელი სიმღერა გადმოაქართულონ?!). მოკლედ, არ ვიცი, ვინმეს მართლაც საჩივრების შექმნა, ევროსაბჭოში შესვლის დაჩქარება მოუწია თუ, უბრალოდ, ახალი ცხოვრების დაწყება გადწყვიტა, გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ აქცია გაიმართა, იმ უბრალო მიზეზით, რომ აქტივისტებს (სტუდია "მაცსტროსა" და მის გარშემო შემოკრებილ მუსიკოს-შემსრულებლებს) ახალი ხელი-სუფლებისთვის შეესხნენინათ კანონი ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ. რაც მთავარია, ეს აქცია არ ამოიწურა მხოლოდ მოწოდებით. "გამოსწორება" თავად აქტივისტებმა დაიწყეს, რისი მაგალითიც დღეიდან "მაცსტროსა" და "პირველი სტერეოს" სატელევიზიო ეთერი უნდა იყოს. "წინა მთავრობას, კონკრეტულად კი, მეექვსე განყოფილებას, რამდენჯერმე მივმართეთ თხოვნით, რომ დაიცვას ინტელექტუალური საკუთრება. მათაც ორდღიანი ღონისძიება გამართეს,

მაგრამ საქმეს ბოლომდე არ მიჰყვნენ. დღეს ძალიან ბევრ სფეროში დამარცხდა წესრიგი და იმედი მოგვეცა, იქნებ ამ სფეროსაც ეშველოს. ადრე, ასე თუ ისე, ყველა სცოდავდა; ზოგიერთი ახლაც სცოდავს, მათ შორის - ჩვეიც. თუმცა, ვინაიდან წამოვიწყეთ ეს აქცია, ჩვენს ეთერში აღარ გავა არც ერთი არალიცენზირებული არც კლიპი, არც ფილმი. გვინდა, რომ პირველებმა ვაჩვენოთ ეს მაგალითი. ადრე თუ გვიან ხომ უნდა დავიწყეთ კანონიერი ცხოვრება, თუკი გვინდა, რომ ვიყოთ ევროპული ქვეყანა", - გვითხრა სტუდია "მაცსტროსა" და მრავალი ქართველი გარსკვავის პროდიუსერმა მამუკა ლლონტა. რაც შეეხება "მეკობრეებისგან" მიღებული ზარალის კონკრეტულ მაგალითებს, გუშინდელი აქციის ყველა მონაწილემ დაადასტურა, რომ მათი ლეგალური ჩანაწერების პარალელურად, მეტი წარმატებით იყიდება არალიცენზირებული აუდიო-ვიდეო პროდუქცია. ქართველი მეკობრეების თავგანწირული შრომის დასადასტურებლად ისევ მამუკა ლლონტის ნათქვამს

მოვიშველებით. როგორც პროდიუსერმა გვითხრა, მან უკვე აღმოაჩინა მუსიკალური პროდუქციის დახლებზე მის მიერ ჯერ არგამოშვებული ლექს-სენის რიგით მეორე ალბომი. მისივე ინფორმაციით, მუსიკალურ ბაზარზე ლიცენზირებული პროდუქციის მხოლოდ 20 პროცენტი იყიდება, დანარჩენი 80 კი - არაღვალურია.

რაც შეეხება გუშინდელი აქციის შედეგებს: რამდენიმე მუსიკოსისა და აქციის ორგანიზატორების სიტყვით გამოსვლის შემდეგ აქტივისტთა მცირე ჯგუფი სამინისტროში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსს ფარვაზ მიქაძეს შეხვდა. მხარეები თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. როგორც გაირკვა, არსებული კანონმდებლობის მიხედვით, შს-ს არც ერთ უწყებას არ აქვს უფლება, სარჩელის გარეშე, ამოიღოს და გაანადგუროს არალეგალური პროდუქცია. აქციის მონაწილეებმა ასეთი სარჩელების სასამართლოში შეტანა საკუთარ თავზე აიღეს. "იმის თქმა, რომ ჩვენი სამინისტრო ამ მიმართულებით არაფერს აკეთებს, არასწორია. ჩვენს ინტერესებში ნამდვილად შედის ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, მაგრამ საკანონმდებლო ბაზაში არსებობს გარკვეული ხარვეზები, რაც ამ ბრძოლაში ხელს გვიშლის. ამას გარდა, ჩვენივეს ამ მიმართულებით მუშაობა ცოტა უჩვეულოა და გაცილებით კარგ შედეგს მოიტანს, თუკი ჩვენივეს ითანამშრომლებენ თავად მუსიკოსები, მომღერლები, სხვადასხვა სტუდიის თანამშრომლები", - გვითხრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ირაკლი კლდიაშვილმა.

დაბოლოს, აქციის ორგანიზატორებმა ბრძოლის ხერხები ამით არ ამოწურეს - გახსნილია ცხელი ხაზი (332900); ხოლო, სატელევიზიო ეთერის დახმარებით, ამხელენ იმ საავტორო ობიექტებს, სადაც არალეგალური აუდიო-ვიდეო პროდუქცია იყიდება.

თბილისის სოციალურ-აუმონიკური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას შემდეგ საბერძნეთში:

- იურიდიული (სამართლისმცოდნეობა)
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
- ფინანსები და საბანკო საქმე

მისაღები გამოცდები ჩატარდება ტესტირების წესით. ინსტიტუტში ლექციებს კითხულობენ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები, პროფესორები ოთარ გამყრელიძე, იაკობ ფუტყარაძე, ნინო სავანელი, გრიგოლ თოდუა, შოთა ვეშაძიძე, მალხაზ ჩახნაშვილი, ნათია თურნაია და სხვები.

ინსტიტუტს გამოცემული აქვს შესაბამისი კათედრებზე შედგენილი და სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორიგინალური სასწავლო პროგრამები. ინსტიტუტთან არსებული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა აცხადებს მიღებას VII-XI კლასებში.

მისამართი: ქ. თბილისი, გ. რუსთა 8 (46-ე საშუალო სკოლის შენობა)
ტელეფონები: 99 96 88, 8 99 51 80 84.

სასკოლო მეთოდური გაზეთები

შპს მედია ოჯახი "განათლებული საქართველო" და შპს "რუსთა 3 პრინტი" გთავაზობთ ხელმოსაწერად 19 დასახელების საგანმანათლებლო და საგნობრივ მეთოდოლოგიურ გაზეთებს.

საგნობრივი მეთოდოლოგიური გაზეთები მოგაწვდით ყველა სკოლაში მართლმადიდებელი სასკოლო სახელმძღვანელოებით სწავლების გარანტირებულ მეთოდოლოგიას და რეკომენდაციებს, თემატურ გეგმებს, საგანგებო სკენარებსა და მოცულებას.

გაზეთებზე ხელმოწერა ჩატარდება 2004 წლის 1 აპრილიდან 1 ივნისამდე. გაზეთებს მიიღებთ ადგილებზე 2004 წლის 20 აგვისტოდან 2004 წლის 20 აგვისტოდან 2004/2005 სასწავლო წლის განმავლობაში.

მისამართი: თბილისი, შ. რუსთაველის 42, მე-3 სართული, ტელ.: 75-30-84, (899) 55-15-84

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი "მზიური" გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თქვენთვის:

- კლავიატურაზე ბეჭდვის პრაქტიკა მეთოდით,
- საწვინი დოკუმენტაციის წარმოება - MS Word,
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები - MS Excel,
- დოკუმენტი წესდის, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ქ. ნაძის N70 **კელ:** 29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

წაგალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტა, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიძლება შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდის დროს წვა, შარდადენი ხერხელის ბაგეთა მინება, სუნი ან გამოადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუწყველობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წაგალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესწებათ.

"სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლესისტიტი), პეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წაგალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წაგალი "სალხინო" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ ავთიაქებში.

წაგლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

საგაგვრო გაზეთი 12-ა და

აქოცა, ოცდაათი და ოცდაათი დირაჟის გაგაგვრებული ნომრები:

25010535

25005858

25003022

25010362

25009356

25006786

25002620

25006493

25007930

25005065

24000163

24000024

24005814

24008712

24009177

24009553

24003715

24008997

24010404

24009184

23001809

23001297

23007703

23004440

23001958

23002695

23000557

23003274

23002873

23006489